ენგური — დიდი სიცოცხლე!

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1979 წელი
შაბათი
25 აგვისტო
№ 198 (17543)
ფასი 2 კაპ.

- მიმდინარე წლის ბოლომდე საექსპლოატაციოდ გადაეცემა კიდევ ორი ამრეგატი. ჯვრის წყალსაცავი 1.100 მილიონ კუბურ მეტრ წყალს დაიტევს.
- უნიკალური თაღოვანი კაშხალი დამთავრების შემდეგ წარმოგვიდგება 271,5 მეტრი სიმაღლის ოთხ მილიონ კუბურ მეტრზე მეტი ბეტონის გოლიათურ ნაგებობად.
- სულ ჩამოისხა ხუთ მილიონ კუბურ მეტრზე მეტი ბეტონი და რკინაბეტონი. შესრულდა 60 მილიონ კუბურ მეტრამდე მიწისა და კლდის სამუშაოები. დამონტაჟებულია 98 ათას ტონამდე ლითონკონსტრუქციები და მონყობილობა.





სურათებზე: მარჯვნივ ზემოდან — აი, როგორ გამოიყურება თაღოვანი კაშხალი დღეს; მიწისქვეშა საგენერატორო სადგურის დარბაზი; ძალოვანი კვანძის მთავარი მართვის პულტი, პულტთან მორიგე ინჟინერი გ. გოგიაშვილი; სურათზე მარცხნივ — ენგურჰესის თაღოვანი კაშხალის მოწინავე მშენებელთა ერთი ჯგუფი (მარჯვნიდან) გ. სენჩოვი, შ. ქარდავა, ნ. აკობია, პ. კუკავა, სოციალისტური შრომის გმირი ა. ოლეინიკოვი და კ. აკობია.

თ. ფუტკარაძის ფოტო.

რეპორტაჟი ენგურჰესის მშენებლობიდან

დღეს დიდი ზეიმია ენგურჰესის მშენებლობის წალენჯიხისა და გალის რაიონის უბნებზე — ჯვარში, ფოცხო-ეწერში, საბერიოში. ენგურის უნიკალური ჰიდროელექტროსადგურის მშენებლები ზეიმობენ მთავრობის სალაო ჯილდოების გადაცემას, რომლებითაც მშენებელთა დიდი ჯგუფი დაჯილდოდა მიწისქვეშა სმი ჰიდროაგრეგატის ვადამდე საექსპლოატაციოდ გადაცემისათვის.

ცად აზიდულ მთებს შორის მოქცეულ სამშენებლო პოლიგონებს, გზებსა და შენობა-ნაგებობებს ამშენებენ ნაირფერი ტრანსპარანტები, ლოზუნგები, დიაგრამები.

ზეიმზე ჩამოვლენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, მინისტრთა საბჭოს ხელმძღვანელი მუშაკები, რათა ღირსეულთა შორის ღირსეულებს საზეიმო ვითარებაში გადასცენ სსრ კავშირის ორდენები და მედლები, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელები, ფასიანი საჩუქრები, ჩამოვლენ აგრეთვე ქვეყნის სხვადასხვა კუთხის ჰიდრომშენებლები, თბილისელი, რუსთაველი და მეზობელი რაიონების სტუმრები, ქალაქ ზუგდიდისა და რესპუბლიკის სხვა ქალაქებისა და რაიონების ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო მუშაკები, ყველა, ვინც კი თავისი წვლილი აქვს შეტანილი დიდი სინათლისათვის ბრძოლაში.

დიდი ოქტომბრის 61-ე წლისთავის წინ, პირველი აგრეგატის ამოქმედებასთან დაკავშირებით სკკპ ცენტრალური კომიტეტის აგენტრალური მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა მიულოცა წარმატება ენგურჰესის მშენებლებს და გამოთქვა რწმენა, რომ ენგურჰესის სახელოვანი კოლექტივი სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებების შესრულებასთან ერთად მთელ ძალ-ღონესა და ოდენას მოახმაროს იმას, რომ რაც შეიძლება ადრე დამთავრდეს მშენებლობა.

ამ მაღალი შეფასების პასუხად მაღე მეორე და მესამე აგრეგატები გადაეცა საექსპლოატაციოდ. სამივე აგრეგატის სიმძლავრეა 780 ათასი კილოვატი. სასიხარულოა, რომ ენგურჰესის ამ სამმა მიწისქვეშა აგრეგატმა ზეიმისწინა დღეებში, სახელდობრ, 22 ივლისსთვის მილიარდი კილოვატსაათი სამრეწველო დენი მისცა ქვეყნის სახალხო მეურნეობას. წლის ბოლომდე სამივე აგრეგატი კიდევ მილიარდ კილოვატსაათ სამრეწველო დენს მიაწვდის სახალხო მეურნეობას.

ხუთწლედის გადამწყვეტ წელს დამკვრელურად შრომობენ მშენებლები. ყოველდღიურად ახალ-ახალი წარმატებების ცნობები მოდის სამშენებლო პოლიგონებიდან. მიმდინარე წლის იანვარ-ივლისის გეგმა 22 მილიონ 797 ათასი მანეთის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების შესრულებას ითვალისწინებდა. ფაქტიურად შესრულდა 25 მილიონ 740 ათასი მანეთისა.

ამ დღეებში კვლავ დაძაბული შრომაა კაშხალის მშენებლობაზე. საქმე ის არის, რომ ორი დარჩენილი, საექსპლოატაციოდ გადასაცემი აგრეგატებისათვის ჯვრის წყალსაცავში საჭირო წყლის მარაგის დასაგროვებლად საჭიროა დანიშნულ სიმაღლემდე აშენდეს კაშხალის ტანი. მშენებლებიც ყოველ ღონეს ხმარობენ დავალების პირნათლად შესრულებისათვის. ეს საქმიდანაც კარგად ჩანს. აი ფაქტიც: კაშხალმშენის სამმართველომ გასულ 7 თვეში გეგმით გათვალისწინებული 13 მილიონ 277 ათასი მანეთის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების ნაცვლად შეასრულა 14 მილიონ 859 ათასი მანეთის სამუშაოები. ამ ხნის განმავლობაში კაშხალის ტანში ჩაიდო 307.100 კუბური მეტრი მაღალი სიმტკიცის ბეტონი.

კარგად იმუშავეს ძალოვანი კვანძის სამმართველოს მუშაკებმაც, რომლებმაც იანვარ-ივლისის გეგმა 108,7 პროცენტით გაანაღდეს. აქ ამჟამად მიმდინარეობს მეხუთე უნიკალური აგრეგატის დამონტაჟება, რომლის ტურბინა გენერატორთან ერთად 1500 ტონას იწონის.

ხუდონჰესი! შენდება იგი სვანეთის მთის კალთებზე შეფენილ მესტიის რაიონის პატარა სოფელ იდლიანში. მისი კაშხალი 190 მეტრი სიმაღლისა იქნება, ხოლო ხუდონის სადგურის ელექტროაგრეგატები კი, რომელთა სიმძლავრე 740 ათასი კილოვატი იქნება, ყოველწლიურად 1,7 მილიარდ კილოვატ ელექტროენერგიას გამოიმუშავებენ.

1978 წლის 30 დეკემბერს, მესამე აგრეგატის ამოქმედებასთან დაკავშირებით ენგურჰესის მშენებელთა ზეიმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ე. ა. შევარდნაძემ თქვა: „საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და მინისტრთა საბჭო განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ხუდონის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის სამუშაოთა დაჩქარებას. ამოცანა ის არის, რომ მეთერთმეტე ხუთწლედის დამლევისათვის ძირითადად დამთავრდეს ამ ჰიდროკომპლექსის მშენებლობა. დღეს მინდა გამოვთქვა მტკიცე რწმენა. რომ, თუ გამოვიყენებთ ენგურჰესის მშენებლობის გამოცდილებას და ამ მაღალპროფესიონალურ და შრომითს აღმავლობას, რომელიც კოლექტივში სუფევს, ეს ახალი პასუხსაგები სამეურნეო-პოლიტიკური ამოცანაც წარმატებით გადაწყდება!“.

ამ სიტყვების პასუხად მომდინარე წლის 7 თვეში ახალი ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობისათვის მოსამზადებელ სამუშაოებზე თავდადებით იმუშავეს ჰიდრომშენებლებმა. 7 თვეში შესრულდა 2 მილიონ 407 ათასი მანეთის სამუშაოები, წლიური გეგმა კი 2 მილიონ 100 ათასი მანეთის სამუშაოების შესრულებას ითვალისწინებდა. ახლაც მთებს შუა მოქცეულ ენგურის ამ პატარა ხეობაში დილიდან გვიან ღამემდე არ წყდება მუშაობა.

მშენებლობის ყველა ეტაპზე განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება შრომითი კოლექტივების ურთიერთშეთანხმებულ მუშაობას, ამიტომ ყველა ერთისათვის, ერთი ყველასათვის! — ამ ლოზუნგით შრომობს აქ.

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს ბუნების სტიქიის შემარკინებელთა უაღრესად რთული საქმიანობა, რომლებმაც სტიქია დააოკეს და ბუნება დაიმორჩილეს. ბევრი მათგანი დღესაც მუშაობს, ბევრი კი დამსახურებულ პენსიაზე გავიდა. მათი ცალკ-ცალკე ჩამოთვლა უთუოდ შორს წაგვიყვანდა. სახელი და დიდება მათ, ვინც მიუვალ მთების კალთებზე პირველი სამანქანო გზები გაიყვანა, ვინც მდინარე ენგურს კალაპოტი შეუცვალა და მაღლივი კაშხლისათვის საძირკველი მოამზადა, ვინც ააგო მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლები, სიცივეს, ყინვას, თოვლს არ ეპუებოდა და აშენებდა დასახლებებს, სკოლებს, კულტურის კერებს.

ზეიმის დღეებში არ ივიწყებენ პირველ მშენებლებს. ბევრი მათგანი სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოვდა.

როცა ამ რეპორტაჟის დასაწერად მშენებლობას ვათვალიერებდით, ჩვენთან ერთად იყო მოსკოველი ექიმი ევგენი პახალჩუკი თავისი ოჯახით. მან, ადამიანის ხელით შექმნილ ამ საოცრებით აღფრთოვანებულმა გვკითხა, როგორი იყო წინათ ეს მიდამოები და როგორ ცხოვრობდნენ ადამიანები ამ მთებში, სადაც არც გზა იყო და არც კვალიო.

მართლაც ჭალეს, მუჟავას, საბერიოს, ხუდონის და სხვა პატარა სოფლების მცხოვრებლები საცალფეხო ბილიკით ჩამოდიოდნენ ბარში სურსათ-სანოვაგისათვის. ახლა კი მთების კალთებში გაყვანილია ფართო საავტომობილო გზები, აიგო სკოლები, საბავშვო ბაგა-ბაღები, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები, აკიაფდა დღის განათების ლამპიონები, ბუნებრივი გაზი, არის ტელევიზია და რადიო და ვინ იცის კიდევ, რა სიკეთე მოუტანა მათ ენგურჰესის მშენებლობამ.

სწორედ ზემოთ ნახსენები მთის სოფლების ახალგაზრდები არიან დღეს მშენებლობაზე დასაქმებული, რომლებიც კარგად შრომობენ და ამავე დროს უმაღლეს სასწავლებლებს დაუსწრებლად ამთავრებენ, ბევრი მათგანი მშენებლობის სხვადასხვა ობიექტზე უბნის უფროსად, ბრიგადის ხელმძღვანელად დაწინაურდა.

მთავრობის ჯილდოებით აღფრთოვანებული მშენებლები ენთუზიაზმით კისრულობენ ახალ გადიდებულ ვალდებულებებს, აფართოებენ შეჯიბრებას წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლებისათვის.

გ. ნოდია,
თ. კინწურაშვილი,
„კომუნისტის“ სპეციალური კორესპონდენტები.

ასე იჭედებოდა გამარჯვება!

ზეიმს ყველა უერთდება

მაღლობის სიტყვები

დიდი სიხარული მომანიჭა ენგურჰესის მშენებელთა შრომის ბალამა შეფასებამ, სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოებამ. ენგურჰესელთა გამარჯვებაში ჩემი მოკრძალებული წვლილიც არის. ძალოვანი კვანძის მებეტონეთა ბრიგადა, რომელსაც მე ვხელმძღვანელობ, დაუღალავად იბრძოდა გეგმების გადაჭარბებით შესრულებისათვის და შრომაც დაგვიფასდა.

დღეს ვზეიმობთ ენგურჰესის მშენებლები. ამ ზეიმს მთელი ჩვენი ხალხი უერთდება, წინ დამკვრელური შრომის დღეებია — დღის წესრიგშია მეოთხე აგრეგატის საექსპლოატაციოდ გადაცემა.

ენგურჰესელთა შრომის ეხოდენ დიდმა შეფასებამ ყველას უკალნიც ფრთები შეგვასხა და, როგორც იტყვიან ძალ-ღონე გაგვიასკეცა.

გულით გილოცავთ, ძვირფასო თანამოსაქმეებო, სამშობლოს სასახელო ჯილდოს, გისურვებთ ჩვენი წარმატებები მომავალში კიდევ უფრო მეტი ყოფილიყოს.

ვ. აბესაძე,
ძალოვანი კვანძის მებეტონეთა კომპლექსური ბრიგადის ხელმძღვანელი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

წინ ახალი მიჯნებია

ენგურჰესელთა მრავალწლიანმა თავდადებულმა შრომამ და დღედაღამ ბუნების ჭირვეულობით გამოწვეულ სიძნელეებთან შეუპოვარმა ბრძოლამ თავისი ნაყოფი გამოიღო: შარშან დიდი ოქტომბრის რევოლუციის 61-ე წლისთავის დღესასწაულისწინა დღეებში მწყობრში ჩადგა პირველი აგრეგატი. ეს იყო დასახული მიზნის განხორციელების გზაზე მშენებელთა მონოლითური მრავალეროვანი კოლექტივის მიერ მოპოვებული დიდი გამარჯვება, რომელსაც თავის მისასალმებელ წერილში მაღალი შეფასება მისცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხანაგმა ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა.

დღეს, როცა ჩვენ მიერ შესრულებულ სამუშაოთა მოცულობას ვაფასებთ, არ შეიძლება მადლიერების გრძნობით არ მოვიხსენიოთ ის დიდი და ფასდაუდებელი წვლილი, რომელიც მშენებლობის საქმეში, ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქის მშრომელებთან ერთად, რუსთაველმა მეცენატებებმა და მეტალურგებმა, ქუთაისელმა მანქანათმშენებლებმა შეიტანეს.

ახლა, როცა საშვილიშვილოდ ნაშენები უნიკალური თაღოვანი კაშხლის ნაგებობას ხედავ, სიხარულის გრძნობასთან ერთად მან არ შეიძლება თითოეული ჩვენთანაგანის სიამაყის გრძნობაც არ გამოიწვიოს. მშენებლების მიერ ხორცშესხმული ეს რთული ჰიდროსაინჟინრო ნაგებობა პირდაპირი ნაყოფია იმ დიდი და კარგი ტრადიციებისა, რომლებიც ქართველ ჰიდრომშენებელთა უფროსმა თაობამ დაამკვიდრა რესპუბლიკაში პირველი ჰიდროელექტროსადგურის ზაჰესის, ხოლო შემდეგ რიონჰესისა და ხრამჰესის მშენებლობებზე.

დღესდღეობით ჩვენი მაღალი საწარმოო მაჩვენებლები, მშენებელთა თავგამოჩენილ საქმიანობასთან ერთად, განპირობა აგრეთვე იმ დიდმა მზრუნველობამ და დახმარებამ, რომელსაც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო გვიწევდნენ და გვიწევენ.

ჩვენ კარგად გვესმის, რომ ამ დიდი ყურადღების საზღაური თავდადებული შრომაა. სწორედ ამიტომ იყო, რომ განსაკუთრებით მნიშვნელოვან წარმატებას მივაღწიეთ ხუდონის მომავალი ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობაზე. მოსამზადებელი სამუშაოებით გათვალისწინებული წლიური დავალება აქ შვიდ თვეში შესრულდა.

ენგურჰესელთა მრავალათასიანი, მრავალეროვანი კოლექტივი წლების მანძილზე ყალიბდებოდა. გვესაუბრება ენგურჰესის მშენებლობის სამმართველოს უფროსი, სოციალისტური შრომის გმირი

მ. ციხკარიშვილი

□

როსაინჟინერო ნაგებობა პირდაპირი ნაყოფია იმ დიდი და კარგი ტრადიციებისა, რომლებიც ქართველ ჰიდრომშენებელთა უფროსმა თაობამ დაამკვიდრა რესპუბლიკაში პირველი ჰიდროელექტროსადგურის ზაჰესის, ხოლო შემდეგ რიონჰესისა და ხრამჰესის მშენებლობებზე.

დღესდღეობით ჩვენი მაღალი საწარმოო მაჩვენებლები, მშენებელთა თავგამოჩენილ საქმიანობასთან ერთად, განპირობა აგრეთვე იმ დიდმა მზრუნველობამ და დახმარებამ, რომელსაც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო გვიწევდნენ და გვიწევენ.

ჩვენ კარგად გვესმის, რომ ამ დიდი ყურადღების საზღაური თავდადებული შრომაა. სწორედ ამიტომ იყო, რომ განსაკუთრებით მნიშვნელოვან წარმატებას მივაღწიეთ ხუდონის მომავალი ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობაზე. მოსამზადებელი სამუშაოებით გათვალისწინებული წლიური დავალება აქ შვიდ თვეში შესრულდა.

ენგურჰესელთა მრავალათასიანი, მრავალეროვანი კოლექტივი წლების მანძილზე ყალიბდებოდა.

დღეს ჩვენს რესპუბლიკაში დამის ფარგლებს გარეთაც კარგად იცნობენ სახელოვან ენგურჰესელ მშენებლებს, სოციალისტური შრომის გმირებს ოთარ ბლიაძეს და ალექსანდრე ოლეინიკოვს, გიორგი ხელაიას, ოთარ ბობოხიძეს სერგი თედეევს, ანასტასი მელიქოვს, ძმებს აკობებს, სკკპ XXV ყრილობის დელეგატს შუქრი აბაკელიას, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატს ვაჟა აბესაძეს, კახი კვარაცხელიას და სხვებს.

ჩვენს თავდადებულ და შემართებულ საქმიანობას დაფასებაც შესაბამისი ხვდა წილად. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ორდენებითა და მედლებით დაჯილდოვდნენ მოწინავე მშენებელთა შორის მოწინავენი, ხოლო მეარმატურეთა ბრიგადის ხელმძღვანელის, სამამულო ომის ვეტერანის ალექსანდრე ოლეინიკოვის ბერდიდ დღეიდან სოციალისტური შრომის გმირის ოქროს ვარსკვლავი დაამშვენებს. ენგურჰესის მშენებლობაზე ჩემი მოკრძალებული წვლილიც დაფასდა და სოციალისტური შრომის გმირის წოდება მომანიჭეს, რაც მთელი კოლექტივის დამსახურებაც არის.

ჯილდოები, რომლებიც დღეს საზეიმო ვითარებაში გადაეცემათ მშენებლებს, კიდევ უფრო მეტ პასუხისმგებლობას გვაკისრებს წინ გადამწყვეტი ეტაპია, ამიტომ ამამავითვე ყოველი ღონე უნდა ვიხმაროთ ჩვენს წინაშე მდგომი მომავალი ამოცანების წარმატებით გადასაწყვეტად.

ეს დღეები სოფლად

გულითადი მილოცვა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და მთელი საბჭოთა ხალხის სახელით ამხანაგებმა ლ. ი. ბრეჟნევმა და ა. ნ. კოსიგინმა ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის ხელმძღვანელებს, მოძმე ჩეხოსლოვაკიელ ხალხს გაუგზავნეს მისალმება, რომელშიც მზურვალედ ულოცავენ სლოვაკიის ეროვნული აჯანყების 35-ე წლისთავს.

ფართო პერსპექტივები

სამ დღეს იყო საქართველოში სსრ კავშირის სამედიცინო მრეწველობის მინისტრი ა. კ. მელნიჩენკო. იგი გაეცნო რესპუბლიკის სამედიცინო მრეწველობის საწარმოებს, ესაუბრა მუშებს, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებსა და მოსამსახურეებს, გამოიკითხა მათი შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობები. საწარმოების დათვალიერებისას გამოითქვა შენიშვნები მათი მუშაობის გაუმჯობესების თაობაზე, მიღებულია ოპერატიული გადაწყვეტილებანი მათი საქმიანობის შემდგომი სრულყოფის შესახებ.

ამხ. ა. კ. მელნიჩენკო ეწვია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ქუთათელაძის სახელობის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტს. მინისტრმა მაღალი შეფასება მისცა ინსტიტუტის თანამშრომლთა ნამუშევრებს, პრეპარატებს, რომლებიც ადგილობრივი სამკურნალოწამლო ბალახების საფუძველზეა შექმნილი.

ა. კ. მელნიჩენკოსთან ერთად რესპუბლიკის სამედიცინო მრეწველობის საწარმოებს ეწვია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ზ. ა. პატარაძე.

გაიმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ე. ა. შევარდნაძის და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრების შეხვედრა ა. კ. მელნიჩენკოსთან. იმსჯელეს იმაზე, თუ რა ფართო პერსპექტივები აქვს რესპუბლიკის სამედიცინო მრეწველობის განვითარებას უნიკალური რესურსების, აგრეთვე ფარმაკოქიმიის ინსტიტუტის შრომების გამოყენების საფუძველზე, მით უმეტეს, რომ ამ ინსტიტუტს ჰყავს კარგად მომზადებული კადრები, რომლებიც აქტიურად მუშაობენ ახალი სამკურნალოწამლო საშუალებების შესაქმნელად.

გათვალისწინებულია ქიმიურ-ფარმაცევტული მრეწველობის ინტენსიური განვითარების შესაძლებლობათა უფრო ეფექტიანი გამოყენება, მეცნიერთა ძალების კონცენტრაცია ახალი სამკურნალოწამლო პრეპარატების შესამუშავებლად, წამლების წარმოების უფრო ღრმა სპეციალიზაცია. (საინფორმი).

სურათზე: ზნაურის რაიონის ბეუმარის საბჭოთა მეურნეობის მინდვრებში ხელით სამართავი მანქანებით თიბავენ ბალახს.

ლ. გუსოვის ფოტო, (საინფორმის ფოტოქრონიკა).

მეცხოველეობას — ჩვენი გულისყური!

სად როგორ ამზადებენ საკვებს

რესპუბლიკის საკვებმომპოვებლებმა, მართალია, გასულ კვირას წინა კვირასთან შედარებით ნაკლები საკვები დაამზადეს, მაგრამ უხეში საკვებისა და ბალახის ფხვნილის მომარაგების ტემპი აგვისტოს პირველ კვირას უსწრებს. რესპუბლიკაში შარშანდელთან შედარებით დამზადებულია 110 ათასი ტონით მეტი უხეში საკვები, 62 ათასი ტონით მეტი სილოსი და 30 ტონით მეტი ბალახის ფხვნილი.

თიბვის ტემპს განსაკუთრებით მოუმატეს ბოგდანოვკის, ბორჯომის, წალკის, დმანისის, ონის, მესტიის რაიონებში, აჭარის ასს რესპუბლიკასა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ბოლო დღეებში მუშაობის გააქტიურების მიუხედავად, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქს, ბოგდანოვკის, ბორჯომის და ონის რაიონებს თივის დამზადების გეგმა 25 პროცენტითაც არა აქვთ რეალიზებული. თივის მომარაგების საქმე კვლავ თვითდინებაზეა მიშვებული და გეგმის ჩაშლის საფრთხე იქმნება სამტრედიის, წულუკიძის, ცხაკაიას, ვანის, გეგეჭკორის, ხობის, ლანჩხუთის რაიონებში. მიუხედავად ამისა, გასულ კვირას ხობში, ცხაკაიასა და გეგეჭკორში არც ერთი ტონა თივა არ დაუმზადებიათ.

13-20 აგვისტოს სენაქის ჩადგა შეჩერებული იყო წყალტუბოს, წულუკიძის, ზესტაფონის, ზუგდიდის, წალენჯიხის, ლანჩხუთის რაიონებში, სადაც გეგმის შესრულებას ჯერ კიდევ ბევრი აკლიათ.

სილოსის ჩადების ტემპი რამდენადმე შენელდა წინა კვირასთან შედარებით, მაგრამ ეს საკვები 18-20 აგვისტოსათვის მეტია დამზადებული, ვიდრე აგვისტოს პირველ კვირაში. სილოსის ჩადებას ჩქარობენ ახალქალაქში (ერთ კვირაში დაასილოსეს 1.763 ტონა), გურჯაანში (3370), საგარეჯოში (1169), ყვარელში (2680), გარდაბანსა (2619) და ლანჩხუთში (1380). ამას ვერ ვიტყვით ქარელის, კასპის, თეთრი წყაროს, თერჯოლის, წალენჯიხის, ჩხოროწყუს რაიონებსა და აჭარის ასს რესპუბლიკაზე, სადაც მთელი კვირის მანძილზე სილოსი სავრთოდ არ ჩაუდვიათ.

მიუხედავად იმისა, რომ წლეულს გვაქვს ხელს გვაშლის საკვების მომარაგებაში, ზოგან უგერგილო, უპასუხისმგებლო მუშაობითაც ბევრ საკვებს კარგავენ. მაგალითად, დმანისის რაიონის მუღანლოს მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობაში ტექნოლოგიის დარღვევის გამო 20 ტონა სილოსი გაფუჭდა.

სამწუხაროდ, ამგვარი ფაქტები სხვაგანაც გვხვდება, რაც იმის შედეგია, რომ საკვებმომპოვებელთა მუშაობის ხარისხზე ჯერ კიდევ ყველგან სათანადოდ არ ზრუნავენ.

რესპუბლიკაში ახლა თივის და სილოსის დამზადების გადამწყვეტი დღეებია. საკვების მომარაგებაში ყველამ თავისი წვლილი უნდა შეიტანოს. ამ საქმეში გეგმის შეუსრულებლობა მეცხოველეობის ღალატია, რასაც არავის აპატიებენ.

გვალვაა მთელ საქართველოში. ველ-მინდვრებს ალმური ასდის. სამგორის ველი კი, სადაც წინათ ქვასავით მშრალი მიწა უნაყოფო იყო, ივრის წყალს ოაზისად გადუქცევია. თვალს ახარებს აქური გალაღებული ბოსტანი და ბაღ-ვენახები.

სამგორის სარწყავი არხი თბილისის შემოგარენის მაცოცხლებელი არტერიაა. ამ არხით ირწყვება გარდაბნის რაიონის 40 ათასი ჰექტარი სავარგული, რომელიც 80 ათას ტონამდე ბოსტნეულს, 17 ათას ტონაზე მეტ მარცვლეულს, ათიათასობით ტონა ხილს, ყურძენს და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტებს იძლევა.

მაგრამ წლეულს, ამ ხორშაკიან ზაფხულში, სამგორის ველის ნათესებსა და ბაღვენახებსაც გაუჭირდათ. წყლის სიმცირე განსაკუთრებით სარწყავი სისტემის ბოლოში მდებარე ახალი სამგორის, გარიყინის, ჯანდარის და სხვა მეურნეობებმა განიცადეს.

ამ გარემოებამ დიდი საზრუნავი გაუჩინა ზემო სამგორის სტალინის სახელობის სარწყავი სისტემის სამმართველოს მუშაკებს. საქმეს ისიც ართულებდა, რომ სარწყავ არხში წყლის მომატების საშუალებას არ იძლეოდა პაპანაქებაში მეტისმეტად დაპატარავებული თბილისის ზღვა, საიდანაც არხი სათავეს იღებს. სამმართველომ მაგისტრალურ არხში წყლის დეფიციტის შესამცირებლად ზღვაში მცურავი წყალსატუმბი სადგური აამუშავა, მაგრამ არხის მწარმოებლობა წამში 7,5 კუბურ მეტრზე მეტად ვერ გაიზარდა, არადა გვალვისგან ხახადაღებული მიწა სარწყავი ნორმის ორჯერ და სამჯერ გადიდებას საჭიროებდა.

— სიონისა და სამგორის წყალსაცავებში წყლის მოცულობა მცირეწყლიან 1966 წელთან შედარებით თითქმის 200 მილიონი კუბური მეტრით შემცირდა, — გვითხრა ზემო სამგორის სარწყავი სისტემის სამმართველოს უფროსმა გ. გალდავამ. — ამის გამო არხის მწარმოებლობის გადიდების ყველაზე რეალურ საშუალებად მივიჩნიეთ ის, რომ სიონის საცავიდან წამოსული წყალი გვაძლევების დროს ზღვაში აღარ ჩაგვეშვა და პირდაპირ ზღვიდან გამომავალი ქვემო მაგისტრალური არხისთვის შეგვეერთებინა. ამისათვის საჭირო გახდა 600 მეტრ მანძილზე 1200 მილიმეტრი დიამეტრის ფოლადის მილების ჩაყრა.

ამ საქმეში მელიორატორებს თავგამოდებით დაეხმარნენ სარემონტო-სამშენებლო სამუშაოების და მექანიზაციის სპეციალიზებული ტრესტის № 1 მოძრავი მექანიზებული კოლონის და „ანეგმოტრანსმშენის“ სპეციალიზებული სამმართველოს მუშაკები. სამუშაო ორ კვირაში შესრულდა და ზემო მაგისტრალური არხი ქვემოს შეუერთდა. არხში 7-ის მაგივრად ახლა წამში 12 კუბური მეტრი ივრის წყალი მოსჩქეფს, რაც გარდაბნის რაიონის სარწყავი მიწების მქონე მეურნეობებს ყველაზე დიდი გვალვების დროსაც კი მთლიანად დააკმაყოფილებს.

მარტო ამით როდი ამთავრებენ ზემო და ქვემო არხების შეერთების საქმეს. ეს ღონისძიება მელიორატორებს საშუალებას მისცემს საჭიროების დროს დაწყვიტონ ქვემო მაგისტრალური არხი (ზღვიდან შეერთების ადგილამდე 4 კილომეტრ მანძილზე) და დროულად შეაკეთონ და მოაწესრიგონ. ამას კი ადრე ვერ ახერხებდნენ, რადგანაც მეურნეობებს და სამრეწველო საწარმოებს წყალი მუდმივად სჭირდებათ.

სამგორელმა მელიორატორებმა სარწყავი წყლის ნაკლებობის დასაძლევად გონებამახვილური გზა გამონახეს. ახლა მოსავლის შენარჩუნება და გვალვასთან ბრძოლის მოგება იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად შეუფერხებლად, მოქნილად იმუშავებს მთელი სარწყავი სისტემა, რამდენად რაციონალურად გაანაწილებენ და გამოიყენებენ წყალს.

ვ. კასრაძე.

გვალვას ამარცხებენ

სამგორელ მელიორატორთა თაოსნობა

ინსტიტუტის კალეგით

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ. (საკ. კორ. დ. გერგიშვილი). თელავის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი კახეთის რაიონებს მაღალკვალიფიციურ პედაგოგიურ კადრებს უმზადებს და ამასთან აქტიურად მონაწილეობს ამ რეგიონის საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ფართო პოლიტიკურ-აღმზრდელობითს მუშაობას ეწევა, პარტიულ აქტივთან ერთად ხშირად მართავს სამეცნიერო-პრაქტიკულ და თეორიულ კონფერენციებს და სხვა მასობრივ ღონისძიებებს. ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებლებს ხშირად შეხვდებით თელავის, სიღნაღის, გურჯაანის, ლაგოდეხისა და ახმეტის სოფლებში.

ამჟერად ინსტიტუტის სკკპ ისტორიისა და მეცნიერული კომუნიზმის კათედრამ პარტიის ყვარლის რაიკომთან ერთად მოაწყო თეორიული კონფერენცია თემაზე — „კადრების შერჩევის, აღზრდისა და განაწილების ლენინური პრინციპები ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის ნაწარმოებები „მცირე მიწის“, „აღორძინებისა“ და „ყამირის“ მიხედვით.

● ●

კლუბი „სხივი“

ᲖᲔᲡᲢᲐᲤᲝᲜᲘ. (საკ. კორ. ო. ნიკაბაძე). ადამიანის აღზრდას, ფორმირებას, კომუნისტური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებას რაიონში მრავალფეროვანი, საინტერესო ღონისძიებები ეძღვნება. ამ დღეებში რაიონული გაზეთის „ლენინური“ ინიციატივით სოფელ ქვედა საზანაში მოეწყო იქ მომუშავე ინტელიგენციის წარმომადგენელთა შეკრება, რომელიც მიეძღვნა „იდეოლოგიური, პოლიტიკურ - აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების სულისკვეთებასა და მოთხოვნებს.

რედაქციამ ჯეროვნად ვერ დაუჭირა მხარი იმ კურსს, რომელსაც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი დაადგა სუბიექტივიზმისა და ვოლუნტარიზმის, კერძომესაკუთრული ტენდენციების, მეჩერთამეობის, მომხვეჭელობის, ჩვენი საზოგადოებისათვის მიუღებელი სხვა ანტისაზოგადოებრივი გამოვლინებების წინააღმდეგ უკომპრომისო, პრინციპული ბრძოლისათვის.

ეურნალის, მისი სარედაქციო კოლეგიის პოზიციას ახასიათებს უპრინციპობა და ზერელობა თემატიკის შემუშავებაში. ხშირად ცხოვრების ცალკეული უარყოფითი მოვლენები ეურნალის ფურცლებზე ისეა განზოგადებული, რომ შეცდომაში შეჰყავს მკითხველი. ზოგიერთი სიუჟეტი პოლიტიკურად არ არის მომზადებული, არ შეესაბამება საქმის რეალურ მდგომარეობას, ცალკეულ შემთხვევებში კი ჩრდილს აყენებს მუშათა კლასის, სოფლის მშრომელების და სახალხო მეურნეობის სხვა დარგების წარმომადგენელთა პრესტიჟს.

ეურნალში გამოქვეყნებული მასალების უმრავლესობას არა აქვს სერიოზული საზოგადოებრივი მნიშვნელობა. ეურნალის რედაქცია მოწყვეტილია ცხოვრებას, უგებგმად მუშაობს და არ იჩენს საჭირო მომთხოვნელობას მასალების იდეური და მხატვრული დონის მიმართ. ეურნალი უგემოვნოდ ფორმდება და საერთოდ ვერა აქვს მიმზიდველი გარეგნული სახე.

„ნიანგში“ თანამშრომლობისათვის თითქმის არ იზიდავენ ავტორთა აქტივს, ეურნალში ძირითადად შტატის მუშაკების მასალები იბეჭდება, რასაც შედეგად მოსდევს ერთფეროვნება, თემატიკური შეზღუდულობა, შაბლონი.

შემოქმედებითი კოლექტივისათვის ცუდი მაგალითია თვით ეურნალის ხელმძღვანელების ნაწარმოებები, რომლებიც ყოველ ნომერში დიდი რაოდენობით იბეჭდება და არ გამოირჩევა თემის აქტიურობით და მაღალი ლიტერატურულ-მხატვრული დონით.

ეურნალი „ნიანგის“ რედაქციის კოლექტივის საქმიანობის სერიოზული ნაკლი გახდა ობიექტიურობა და გაუთავებელი პანეგირიკები. ასეთი მასალები დაბეჭდილია ოთხასამოცი 24 ნომრიდან ოცში. თანაც ამ ქებათა ქების მიზანშეწონილობა და პოლიტიკური მიმართულება ყოველთვის ვერ არის გამართლებული. ბევრი პუბლიკაცია ძველი სიუჟეტების გადამღერებას წარმოადგენს.

ეურნალის დაბალი დონე, აშკარად გამოხატული პროვინციალიზმი, წვრილმანი თემების სიჭარბე, ქარაფშუტულობა, პუბლიკაციების შემოქმედებითი და იდეური წუნი ზოგჯერ ინიშნება, რომ სარედაქციო კოლეგია პრაქტიკულად არაფერს არ აკეთებს.

ეურნალში დამკვიდრდა მშრომელთა წერილების მიმართ უყურადღებობის მანკიერი პრაქტიკა. სარედაქციო კოლეგია და ეურნალის მთავარი რედაქტორი ამხ. ზ. ვ. გემბაზაშვილი არ ასრულებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მითითებებს იმის შესახებ, რომ მშრომელთა წერილებზე ეფექტური ფორმებისა და სისტემატური მუშაობის გარეშე რედაქცია ვერ გადაწყვეტს მის წინაშე მდგომ დიდმნიშვნელოვან ამოცანებს.

ამხ. გემბაზაშვილმა, როგორც ეურნალის მთავარმა რედაქტორმა, ვერ უზრუნველყო რედაქციის კოლექტივის ხელმძღვანელობა ჯეროვან ორგანიზაციულ და იდეურ-მხატვრულ დონეზე.

იმ მიზნით, რომ გადაჭრით გარდაიქმნას რედაქციის მუშაობის მეთოდები, მკვეთრად ამაღლდეს ეურნალის იდეურ-პოლიტიკური და ლიტერატურულ-მხატვრული დონე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დასახა კონკრეტული ღონისძიებანი.

იმისათვის, რომ ვერ უზრუნველყო ეურნალისადმი სათანადო ორგანიზაციული და იდეურ-მხატვრული ხელმძღვანელობა, ამხ. ზ. ვ. გემბაზაშვილი განთავისუფლებულია ეურნალ „ნიანგის“ მთავარი რედაქტორის მოვალეობისაგან.

ეურნალის ახალ ხელმძღვანელობასა და სარედაქციო კოლეგიას დაეკალათ აღმოფხვრან ნაკლოვანებანი და უმოკლეს ვადაში აამაღლონ ეურნალის იდეურ-მხატვრული დონე ისე, როგორც ამას მოითხოვს სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“.

ეურნალი მოვალეა ყოველი ღონისძიებით შეუწყოს ხელი ინ კურსის განხორციელებას, რომელსაც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი ადგას წარსულის გადმონაშთების, ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ უკომპრომისო, პრინციპული ბრძოლისათვის, ამასთან გადააქციოს იგი თავისი საქმიანობის ძირითად მიმართულებად.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს რესპუბლიკის ცხოვრებაში მიმდინარე მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის გაჯანსაღების პროცესის ჩვენებას, გამოიძებნოს და გამოყენებულ იქნეს ეურნალის მუშაობაში ქმედითი ფორმები ინტერნაციონალიზმის იდეების მკაფიო დემონსტრაციისათვის, ამასთან წარიმართოს სატირის მახვილი ბურჟუაზიული პროპაგანდის წინააღმდეგ. სისტემატურად უნდა ქვეყნდებოდეს ისეთი პოპულარული ჟანრების მასალები, როგორიც არის პოლიტიკური პამფლეტი, ფელეტონი საერთაშორისო თემაზე და სხვ. მკითხველები ფართოდ უნდა გაეცნონ მოძმე რესპუბლიკების, სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების მწერლების, აგრეთვე საზღვარგარეთის ქვეყნების პროგრესულ სატირიკოსთა ნაწარმოებებს. საჭიროა პრაქტიკაში დაინერგოს გაცვლითი გვერდები, ეურნალების ნომრები, დამყარდეს მჭიდრო, საქმიანი კავშირი მონათესავე პროფილის გამოცემებთან.

უნარიანად უნდა გამოიყენონ სატირისა და იუმორის საშუალებანი, ეურნალისტიკის მრავალფეროვანი შესაძლებლობანი სოციალისტური საკუთრების დამტაცებლების, წამგლეჯებისა და მექრთამეების, ბიუროკრატების, სოციალისტური საერთო ცხოვრების წესების ყოველგვარ დამრღვევთა წინააღმდეგ, დაეყრდნონ ობიექტურ, საგნობრივ, ჭეშმარიტ ფაქტებს, ინსტრუქციულ და სანიმუშო კრიტიკას.

ეურნალის რედაქცია რეგულარულად უნდა აწყობდეს მკითხველთა ფართო აქტივის მონაწილეობით ეურნალის თემატიკური გეგმებისა და ნომრების განხილვას, შეხვედრებსა და კონფერენციებს შრომითს კოლექტივებში.

ახალ ავტორთა კადრების მიზიდვის მიზნით ეურნალი მოვალეა სისტემატურად აწყობდეს შემოქმედებითს კონკურსებს საუკეთესო ფელეტონისა თუ იუმორისტული მოთხრობისათვის, უფრო ფართოდ უთმობდეს თავის ფურცლებს რესპუბლიკის ცნობილ მწერლებს, პოეტებს, მხატვრებს, ეურნალისტებს.

საჭიროა განახლდეს რედაქციის შტატგარეშე „ეურნესპონდენტთა ქსელი ყველა რაიონში, გაქტიურდეს თანამშრომლობა პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ, კომკავშირულ და ადმინისტრაციულ ორგანოებთან.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს მასალების შინაარსსა და ლიტერატურულ ხარისხს, გაუმჯობესდეს ეურნალის მხატვრული და პოლიგრაფიული გაფორმება, გაძლიერდეს მისი ორგანიზატორული როლი. რედაქციამ უნდა იზრუნოს იმისათვის, რომ კრიტიკული მასალები მიმართული იყოს კონკრეტული აღრესატებისადმი და წარმოადგენდეს რედაქციის კოლეგიის შემოქმედებითი პუბლიკისტური ძიებისა და გეგმაზომიერი შრომის შედეგს.

„ნიანგის“ რედაქციას დაევალა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს მშრომელთა წერილებზე მუშაობის გაუმჯობესებას, ამასთან ამ წერილებში აღძრული საჭირბოროტო საკითხები გამოიყენოს თემატიკის შემუშავებისათვის, უზრუნველყოს ეურნალის ფოსტის სისტემატიზებული ანალიზი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტში

ᲔᲣᲠᲜᲐᲚ „ᲜᲘᲐᲜᲒᲘᲡ“ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐᲨᲘ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚ ᲡᲔᲠᲘᲝᲖᲣᲚ ᲜᲐᲙᲚᲝᲕᲐᲜᲔᲑᲐᲗᲐ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ ᲓᲐᲛᲢᲙᲪᲔᲚᲘ ᲒᲐᲜᲘᲮᲘᲚᲐ ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲐᲢᲘᲠᲣᲚ-ᲘᲣᲛᲝᲠᲘᲡᲢᲣᲚᲘ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡ „ᲜᲘᲐᲜᲒᲘᲡ“ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐᲨᲘ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚ ᲡᲔᲠᲘᲝᲖᲣᲚ ᲜᲐᲙᲚᲝᲕᲐᲜᲔᲑᲗᲐ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲓᲐ ᲛᲘᲘᲦᲝ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲘ ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲔᲑᲐ.

დადგენილებაში საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა აღნიშნა, რომ გარკვეული მუშაობის მიუხედავად, რომელსაც ეურნალის რედაქცია ეწევა ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში შემორჩენილი ნეგატიური მოვლენების აღმოსაფხვრელად, საერთოდ „ნიანგის“ საქმიანობა არ შეესაბამება „იდეოლოგიური, პოლიტიკურ - აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების სულისკვეთებასა და მოთხოვნებს.

რედაქციამ ჯეროვნად ვერ დაუჭირა მხარი იმ კურსს, რომელსაც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი დაადგა სუბიექტივიზმისა და ვოლუნტარიზმის, კერძომესაკუთრული ტენდენციების, მეჩერთამეობის, მომხვეჭელობის, ჩვენი საზოგადოებისათვის მიუღებელი სხვა ანტისაზოგადოებრივი გამოვლინებების წინააღმდეგ უკომპრომისო, პრინციპული ბრძოლისათვის.

ეურნალის, მისი სარედაქციო კოლეგიის პოზიციას ახასიათებს უპრინციპობა და ზერელობა თემატიკის შემუშავებაში. ხშირად ცხოვრების ცალკეული უარყოფითი მოვლენები ეურნალის ფურცლებზე ისეა განზოგადებული, რომ შეცდომაში შეჰყავს მკითხველი. ზოგიერთი სიუჟეტი პოლიტიკურად არ არის მომზადებული, არ შეესაბამება საქმის რეალურ მდგომარეობას, ცალკეულ შემთხვევებში კი ჩრდილს აყენებს მუშათა კლასის, სოფლის მშრომელების შემცირება, დანაკარგების აღკვეთა მარტო მუშათა დაოსტატების მეოხებით როდი ხდება. აქ უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს რაციონალიზატორთა და გამომგონებელთა რიგების ზრდას, მათი წინადადების ხორცშესხმას, მათ შორის შეჯიბრების გონივრულად წარმართვას. შარშან და მიმდინარე წლის ნახევარში ამ ადამიანებმა წარმოებაში 177 რაციონალიზატორული წინადადება დანერგეს და წარმოებას 131,5 ათასი მანეთი დაუზოგეს. საწარმოო გაერთიანებაში ნაყოფიერად მუშაობს სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობის კომისია, რომელიც სისტემატურად აჯამებს შედეგებს. ამ შედეგებს შემდეგ აცნობენ პროპაგანდისტებს და აგიტატორებს, ინფორმატორებს, და ისინიც თავიანთ საუბრებში დიდ ადგილს უთმობენ ადგილობრივ ფაქტებს, ცალკეულ მუშათა შრომითს მიღწევებს, მათი გამოცდილების განზოგადებას.

— ირგვლივ ბევრი სიახლე და ბევრი თაოსნობაა, — გვითხრა ცვლის მესამე ბრიგადის აგიტატორმა ოლია ბენიძემ, — და განა შეიძლება ისინი არ გამოიყენო, არ გაიზიარო? და ჩვენ ვცდილობთ ასე მოვიქცეთ. ეს სწრაფვა უფრო მიმზიდველს ხდის ჩვენს ცხოვრებას.

სწორედ ო. ბენიძემ დააყენა დროულად ახალგაზრდა მჭსოფელთა კვალიფიკაციის ამაღლების საკითხი, და მის წინადადებას უმალ გამოეხმაურა წარმოების ხელმძღვანელობა, ცვლაში შეიქმნა კვალიფიკაციის ასამაღლებელი ჯგუფი...

აგიტატორ ოლია ბენიძის მაგალითს სხვებმაც მიბაძეს. მაგალითად, ერთ-ერთი ცვლის აგიტატორმა მაყვალა ნებიერიძემ დროულად დააყენა საკითხი საამქროს ქვეოსტატის შეცვლის შესახებ; მას აშკარად არ ჰყოფნიდა გამოცდილება. საამქროს ხელმძღვანელობამ მხარი დაუჭირა მის წინადადებას და იგი უნარიანი ახალი ქვეოსტატით შეცვალა. ასეა, საწარმოს იდეოლოგიური დარგის მუშაკები აქტიურად იბრძვიან შრომითს და საწარმოო დისციპლინის ამაღლებისათვის, პროდუქციის ხარისხის სრულყოფისათვის.

საწარმოო გაერთიანების პარტიული კომიტეტი (მდივანი მ. ბურდული), წარმოების ხელმძღვანელობა და იდეოლოგიური დარგის მუშაკები დიდი მზრუნველობით ეკიდებიან მუშა-მოსამსახურეთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების საქმეს.

გაერთიანების პარტიული კომიტეტი, იდეოლოგიური დარგის მუშაკები რაციონალურად იყენებენ დროს, რათა წარმატებით შეასრულონ გეგმა-ვალდებულებანი, სისტემატურად აამაღლონ წარმოების ეფექტიანობა.

Ი. ᲜᲣᲪᲣᲑᲘᲫᲔ.

ᲛᲔᲑᲠᲫᲝᲚᲘ, ᲐᲥᲢᲘᲣᲠᲘ ᲮᲐᲡᲘᲐᲗᲘ

იდეოლოგიური ცხოვრება

ᲣᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚᲘ ხანს განსაკუთრებით გააქტიურეს მუშაობა თბილისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების იდეოლოგიურმა მუშაკებმა, პოლიტიკური, ეკონომიკური განათლების სკოლისა და სემინარის, სახალხო უნივერსიტეტის აქტივისტებმა. ისინი გულმოდგინედ სწავლობენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას იდეოლოგიური მუშაობის სრულყოფის შესახებ და უკვე მზად არიან ახალი სასწავლო წლისათვის. 44 პროპაგანდისტი სისტემატურად იმაღლებს ცოდნის დონეს, იმარაგებს ლიტერატურას, თვალსაჩინოებას.

მშრომელთა იდეურ აღზრდას ხელს უწყობს ლექციური პროპაგანდა, რომელსაც საწარმოო გაერთიანებაში დიდი ყურადღება ექცევა. ლექციებს აწყობენ საზოგადოება „ცოდნის“ მუშაკები, აქ ხშირი სტუმრები არიან მეცნიერებისა და ხელოვნების გამოჩენილი მოღვაწეები.

საგიტაციო საქმიანობას საწარმოო გაერთიანებაში სათავეში უდგას 67 აგიტატორი, 24 პოლიტინფორმატორი, ადგილობრივ რადიოგადაცემათა კვანძი. იდეოლოგიურ და პოლიტიკურ-აღმზრდელობითს მუშაობას ეფექტს მატებს თვალსაჩინოებანი, ლოზუნგები, პლაკატები, დაფები.

ტექნიკურ პროგრესს მჭიდრო კავშირი აქვს მოწინავე გამოცდილების დანერგვასთან. აქ ჩვეულებისამებრ თავიანთ სიტყვას ამბობენ იდეოლოგიური მუშაკებიც, რომლებმაც უკვე მოაწყვეს საუბრები: „ტექნიკური პროგრესი და საწარმოო გაერთიანების ამოცანები“, „რას იძლევა სიახლე?“, „გამომგონებლობა წარმოების ზრდის საწინდარია“ და სხვა.

პროდუქციის თვითღირებულების შემცირება, დანაკარგების აღკვეთა მარტო მუშათა დაოსტატების მეოხებით როდი ხდება. აქ უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს რაციონალიზატორთა და გამომგონებელთა რიგების ზრდას, მათი წინადადების ხორცშესხმას, მათ შორის შეჯიბრების გონივრულად წარმართვას. შარშან და მიმდინარე წლის ნახევარში ამ ადამიანებმა წარმოებაში 177 რაციონალიზატორული წინადადება დანერგეს და წარმოებას 131,5 ათასი მანეთი დაუზოგეს. საწარმოო გაერთიანებაში ნაყოფიერად მუშაობს სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობა ქომისია, რომელიც სისტემატურად აჯამებს შედეგებს. ამ შედეგებს შემდეგ აცნობენ პროპაგანდისტებს და აგიტატორებს, ინფორმატორებს, და ისინიც თავიანთ საუბრებში დიდ ადგილს უთმობენ ადგილობრივ ფაქტებს, ცალკეულ მუშათა შრომითს მიღწევებს, მათი გამოცდილების განზოგადებას.

— ირგვლივ ბევრი სიახლე და ბევრი თაოსნობაა, — გვითხრა ცვლის მესამე ბრიგადის აგიტატორმა ოლია ბენიძემ, — და განა შეიძლება ისინი არ გამოიყენო, არ გაიზიარო? და ჩვენ ვცდილობთ ასე მოვიქცეთ. ეს სწრაფვა უფრო მიმზიდველს ხდის ჩვენს ცხოვრებას.

სწორედ ო. ბენიძემ დააყენა დროულად ახალგაზრდა მჭსოფელთა კვალიფიკაციის ამაღლების საკითხი, და მის წინადადებას უმალ გამოეხმაურა წარმოების ხელმძღვანელობა, ცვლაში შეიქმნა კვალიფიკაციის ასამაღლებელი ჯგუფი...

აგიტატორ ოლია ბენიძის მაგალითს სხვებმაც მიბაძეს. მაგალითად, ერთ-ერთი ცვლის აგიტატორმა მაყვალა ნებიერიძემ დროულად დააყენა საკითხი საამქროს ქვეოსტატის შეცვლის შესახებ; მას აშკარად არ ჰყოფნიდა გამოცდილება. საამქროს ხელმძღვანელობამ მხარი დაუჭირა მის წინადადებას და იგი უნარიანი ახალი ქვეოსტატით შეცვალა. ასეა, საწარმოს იდეოლოგიური დარგის მუშაკები აქტიურად იბრძვიან შრომითს და საწარმოო დისციპლინის ამაღლებისათვის, პროდუქციის ხარისხის სრულყოფისათვის.

საწარმოო გაერთიანების პარტიული კომიტეტი (მდივანი მ. ბურდული), წარმოების ხელმძღვანელობა და იდეოლოგიური დარგის მუშაკები დიდი მზრუნველობით ეკიდებიან მუშა-მოსამსახურეთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების საქმეს.

გაერთიანების პარტიული კომიტეტი, იდეოლოგიური დარგის მუშაკები რაციონალურად იყენებენ დროს, რათა წარმატებით შეასრულონ გეგმა-ვალდებულებანი, სისტემატურად აამაღლონ წარმოების ეფექტიანობა.

Ი. ᲜᲣᲪᲣᲑᲘᲫᲔ.

ᲘᲥ, ᲦᲠᲣᲑᲚᲔᲑᲡ ᲖᲔᲛᲝᲗ...

ᲖᲐᲘᲡᲐᲓ თავისი არსებობის 80 წელს აღნიშნავს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტის ცხრაწყაროს გ. ჩიქოვანის სახელობის მაღალი მთის სადგური.

სადგურში, რომლის შექმნაშიც მონაწილეობდნენ გამოჩენილი ფიზიკოსები სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი ე. ანდრონიკაშვილი და ლენინური პრემიის ლაურეატი გ. ჩიქოვანი, იკვლევენ კოსმოსური ნაწილაკების ურთიერთმოქმედებას ბირთვებთან მაღალი ენერგიების დროს. ქართველი მეცნიერები ამუშავებენ ადრეთვე ამ დარგის კვლევისათვის საჭირო აპარატურას.

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡ: სტაჟიორ-მკვლევარი ნინო ჯაშვილი მართვის პულტთან.

გ. ᲜᲐᲮᲣᲪᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡ ᲙᲐᲚᲔᲒᲘᲗ

ᲙᲚᲣᲑᲘ „ᲡᲮᲘᲕᲘ“

ᲖᲔᲡᲢᲐᲤᲝᲜᲘ. (საკ. კორ. ო. ნიკაბაძე). ადამიანის აღზრდას, ფორმირებას, კომუნისტური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებას რაიონში მრავალფეროვანი, საინტერესო ღონისძიებები ეძღვნება. ამ დღეებში რაიონული გაზეთის „ლენინური“ ინიციატივით სოფელ ქვედა საზანაში მოეწყო იქ მომუშავე ინტელიგენციის წარმომადგენელთა შეკრება, რომელიც მიეძღვნა „იდეოლოგიური, პოლიტიკურ - აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების სულისკვეთებასა და მოთხოვნებს.

რედაქციამ ჯეროვნად ვერ დაუჭირა მხარი იმ კურსს, რომელსაც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი დაადგა სუბიექტივიზმისა და ვოლუნტარიზმის, კერძომესაკუთრული ტენდენციების, მეჩერთამეობის, მომხვეჭელობის, ჩვენი საზოგადოებისათვის მიუღებელი სხვა ანტისაზოგადოებრივი გამოვლინებების წინააღმდეგ უკომპრომისო, პრინციპული ბრძოლისათვის.

ეურნალის, მისი სარედაქციო კოლეგიის პოზიციას ახასიათებს უპრინციპობა და ზერელობა თემატიკის შემუშავებაში. ხშირად ცხოვრების ცალკეული უარყოფითი მოვლენები ეურნალის ფურცლებზე ისეა განზოგადებული, რომ შეცდომაში შეჰყავს მკითხველი. ზოგიერთი სიუჟეტი პოლიტიკურად არ არის მომზადებული, არ შეესაბამება საქმის რეალურ მდგომარეობას, ცალკეულ შემთხვევებში კი ჩრდილს აყენებს მუშათა კლასის, სოფლის მშრომელების და სახალხო მეურნეობის სხვა დარგების წარმომადგენელთა პრესტიჟს.

ეურნალში გამოქვეყნებული მასალების უმრავლესობას არა აქვს სერიოზული საზოგადოებრივი მნიშვნელობა. ეურნალის რედაქცია მოწყვეტილია ცხოვრებას, უგებგმად მუშაობს და არ იჩენს საჭირო მომთხოვნელობას მასალების იდეური და მხატვრული დონის მიმართ. ეურნალი უგემოვნოდ ფორმდება და საერთოდ ვერა აქვს მიმზიდველი გარეგნული სახე.

„ნიანგში“ თანამშრომლობისათვის თითქმის არ იზიდავენ ავტორთა აქტივს, ეურნალში ძირითადად შტატის მუშაკების მასალები იბეჭდება, რასაც შედეგად მოსდევს ერთფეროვნება, თემატიკური შეზღუდულობა, შაბლონი.

შემოქმედებითი კოლექტივისათვის ცუდი მაგალითია თვით ეურნალის ხელმძღვანელების ნაწარმოებები, რომლებიც ყოველ ნომერში დიდი რაოდენობით იბეჭდება და არ გამოირჩევა თემის აქტიურობით და მაღალი ლიტერატურულ-მხატვრული დონით.

ეურნალი „ნიანგის“ რედაქციის კოლექტივის საქმიანობის სერიოზული ნაკლი გახდა ობიექტიურობა და გაუთავებელი პანეგირიკები. ასეთი მასალები დაბეჭდილია ოთხასამოცი 24 ნომრიდან ოცში. თანაც ამ ქებათა ქების მიზანშეწონილობა და პოლიტიკური მიმართულება ყოველთვის ვერ არის გამართლებული. ბევრი პუბლიკაცია ძველი სიუჟეტების გადამღერებას წარმოადგენს.

ეურნალის დაბალი დონე, აშკარად გამოხატული პროვინციალიზმი, წვრილმანი თემების სიჭარბე, ქარაფშუტულობა, პუბლიკაციების შემოქმედებითი და იდეური წუნი ზოგჯერ ინიშნება, რომ სარედაქციო კოლეგია პრაქტიკულად არაფერს არ აკეთებს.

ეურნალში დამკვიდრდა მშრომელთა წერილების მიმართ უყურადღებობის მანკიერი პრაქტიკა. სარედაქციო კოლეგია და ეურნალის მთავარი რედაქტორი ამხ. ზ. ვ. გემბაზაშვილი არ ასრულებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მითითებებს იმის შესახებ, რომ მშრომელთა წერილებზე ეფექტური ფორმებისა და სისტემატური მუშაობის გარეშე რედაქცია ვერ გადაწყვეტს მის წინაშე მდგომ დიდმნიშვნელოვან ამოცანებს.

ამხ. გემბაზაშვილმა, როგორც ეურნალის მთავარმა რედაქტორმა, ვერ უზრუნველყო რედაქციის კოლექტივის ხელმძღვანელობა ჯეროვან ორგანიზაციულ და იდეურ-მხატვრულ დონეზე.

იმ მიზნით, რომ გადაჭრით გარდაიქმნას რედაქციის მუშაობის მეთოდები, მკვეთრად ამაღლდეს ეურნალის იდეურ-პოლიტიკური და ლიტერატურულ-მხატვრული დონე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დასახა კონკრეტული ღონისძიებანი.

იმისათვის, რომ ვერ უზრუნველყო ეურნალისადმი სათანადო ორგანიზაციული და იდეურ-მხატვრული ხელმძღვანელობა, ამხ. ზ. ვ. გემბაზაშვილი განთავისუფლებულია ეურნალ „ნიანგის“ მთავარი რედაქტორის მოვალეობისაგან.

ეურნალის ახალ ხელმძღვანელობასა და სარედაქციო კოლეგიას დაეკალათ აღმოფხვრან ნაკლოვანებანი და უმოკლეს ვადაში აამაღლონ ეურნალის იდეურ-მხატვრული დონე ისე, როგორც ამას მოითხოვს სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“.

ეურნალი მოვალეა ყოველი ღონისძიებით შეუწყოს ხელი ინ კურსის განხორციელებას, რომელსაც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი ადგას წარსულის გადმონაშთების, ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ უკომპრომისო, პრინციპული ბრძოლისათვის, ამასთან გადააქციოს იგი თავისი საქმიანობის ძირითად მიმართულებად.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს რესპუბლიკის ცხოვრებაში მიმდინარე მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის გაჯანსაღების პროცესის ჩვენებას, გამოიძებნოს და გამოყენებულ იქნეს ეურნალის მუშაობაში ქმედითი ფორმები ინტერნაციონალიზმის იდეების მკაფიო დემონსტრაციისათვის, ამასთან წარიმართოს სატირის მახვილი ბურჟუაზიული პროპაგანდის წინააღმდეგ. სისტემატურად უნდა ქვეყნდებოდეს ისეთი პოპულარული ჟანრების მასალები, როგორიც არის პოლიტიკური პამფლეტი, ფელეტონი საერთაშორისო თემაზე და სხვ. მკითხველები ფართოდ უნდა გაეცნონ მოძმე რესპუბლიკების, სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების მწერლების, აგრეთვე საზღვარგარეთის ქვეყნების პროგრესულ სატირიკოსთა ნაწარმოებებს. საჭიროა პრაქტიკაში დაინერგოს გაცვლითი გვერდები, ეურნალების ნომრები, დამყარდეს მჭიდრო, საქმიანი კავშირი მონათესავე პროფილის გამოცემებთან.

უნარიანად უნდა გამოიყენონ სატირისა და იუმორის საშუალებანი, ეურნალისტიკის მრავალფეროვანი შესაძლებლობანი სოციალისტური საკუთრების დამტაცებლების, წამგლეჯებისა და მექრთამეების, ბიუროკრატების, სოციალისტური საერთო ცხოვრების წესების ყოველგვარ დამრღვევთა წინააღმდეგ, დაეყრდნონ ობიექტურ, საგნობრივ, ჭეშმარიტ ფაქტებს, ინსტრუქციულ და სანიმუშო კრიტიკას.

ეურნალის რედაქცია რეგულარულად უნდა აწყობდეს მკითხველთა ფართო აქტივის მონაწილეობით ეურნალის თემატიკური გეგმებისა და ნომრების განხილვას, შეხვედრებსა და კონფერენციებს შრომითს კოლექტივებში.

ახალ ავტორთა კადრების მიზიდვის მიზნით ეურნალი მოვალეა სისტემატურად აწყობდეს შემოქმედებითს კონკურსებს საუკეთესო ფელეტონისა თუ იუმორისტული მოთხრობისათვის, უფრო ფართოდ უთმობდეს თავის ფურცლებს რესპუბლიკის ცნობილ მწერლებს, პოეტებს, მხატვრებს, ეურნალისტებს.

საჭიროა განახლდეს რედაქციის შტატგარეშე „ეურნესპონდენტთა ქსელი ყველა რაიონში, გაქტიურდეს თანამშრომლობა პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ, კომკავშირულ და ადმინისტრაციულ ორგანოებთან.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს მასალების შინაარსსა და ლიტერატურულ ხარისხს, გაუმჯობესდეს ეურნალის მხატვრული და პოლიგრაფიული გაფორმება, გაძლიერდეს მისი ორგანიზატორული როლი. რედაქციამ უნდა იზრუნოს იმისათვის, რომ კრიტიკული მასალები მიმართული იყოს კონკრეტული აღრესატებისადმი და წარმოადგენდეს რედაქციის კოლეგიის შემოქმედებითი პუბლიკისტური ძიებისა და გეგმაზომიერი შრომის შედეგს.

„ნიანგის“ რედაქციას დაევალა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს მშრომელთა წერილებზე მუშაობის გაუმჯობესებას, ამასთან ამ წერილებში აღძრული საჭირბოროტო საკითხები გამოიყენოს თემატიკის შემუშავებისათვის, უზრუნველყოს ეურნალის ფოსტის სისტემატიზებული ანალიზი.

ᲠᲐᲘᲝᲜᲣᲚᲘ ᲞᲠᲔᲡᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲣᲭᲠᲔᲚᲘ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘ

ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲔᲑᲐᲨᲘ, რომელიც საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო რაიონული გაზეთების მუშაობისა და ადგილობრივი პრესისადმი — გადადგა [illegible] ეტაპი.

**პარტიული ხელმძღვანელობის გაუმჯობესების თაობაზე იმ მოთხოვნების შესაბამისად, რომლებიც მოცემულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში „იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“, ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ რაიონული პრესა სიძნელეებს განიცდის პოლიგრაფიული ბაზის მხრივ, ნათქვ

საერთაშორისო ცხოვრება
ლენინის ჯვარედინზე

ფიქრები სკოლასა და ოჯახზე

Yველაფერი იმით იწყება, რომ ბავშვმა უნდა ისწავლოს აზროვნება...

ბავშვს სკოლამ და ოჯახმა ფიქრი, შრომა და პატიოსნება ერთდროულად უნდა ასწავლოს.

ერთხელ ილია ვეკუამ ბრძანა, ერის ხსნა მეცნიერებაო. ეს დიდი ხნის წინათ იყო და მაშინ ვერ მივხვდი, რომ ეს იმის ნიშნავს, თუ მეცნიერების დიდ თაროზე კაცობრიობის რაიმე საგანძური არ შემოდე. არსებობას წყვეტ. გინდ კაცი იყო, გინდ ერი! ამიტომ სწავლა მარტო საქმიანობის გადაადგილება კი არა, სიცოცხლის გახანგრძლივებაა!

ეს კარგად იცოდა ჩვენმა წინაპარმა, „სწავლა სინათლეაო". რომ თქვა.

ცდება, ვისაც ჰგონია, თითქოს მეცნიერებისა თუ ერის ბედ-იღბალი მხოლოდ უნივერსიტეტში ან აკადემიაში წყდებოდეს. ყველა დიდი და პატარა საქმე სკოლასა და ოჯახში იწყება. არ შეიძლება ამ ორი ცნების განცალკევება, ისევე როგორც შობელი — ეს არის დედა და მამა!

სადაც სკოლისა და ოჯახის ურთიერთობა მოწესრიგებულია, იქ ყველა და ყველაფერი რიგზეა, ამიტომ უპირველესად მასწავლებელს უნდა მიექცეს ყურადღება, ვინ არის ჩვენი შვილის მასწავლებელი?

ახლა, სამწუხაროდ, ხშირად გაიგონებთ სკოლის აუგს. ამ ოცდაათი ორმოცი წლის წინათ თბილისში ქუხდა მასწავლებელთა ერთი ჯგუფი, მათი სახელის ხსენებაც კი მოწონებასა და პატივისცემას იწვევდა. კარგი და სახელოვანი მასწავლებელი ახლაც ბევრია, მაგრამ სკოლა ისეთი რამ არის, სულ მცირე ნაკლიც კი განგაშის საბაბი უნდა იყოს. „განგაში" და „პანიკა" ერთმანეთში არ უნდა ავურიოთ. განგაში წინდახედული, ფრთხილი კაცის საქმეა. „პანიკა" ნერვებს აყოლილი, სუსტი კაცის ჩვევაა. ჩვენ საპანიკო არაფერი გვაქვს, მსჯელობა და აზრის გაცვლა კი „არასდროს გვიზამს ზიანსა..."

ალბათ ახლა ყველაზე . სწორი იქნება, თუ სკოლის პირველ გასაჭირად შეთოდიკას დავასახელებთ.

აქცელერაცია ცხოვრების ჩქარი ტემპით არის გამოწვეული, ბუნებრივია, ახალმა ტემპმა ახალი ურთიერთობა მოითხოვა როგორც სკოლაში, ისე ოჯახში, რა მტკიცება უნდა იმას, რომ ახლა მერვეკლასელმა ის არ უნდა ისწავლოს (და ისე არ უნდა ისწავლოს!), როგორც ამ ორმოცი წლის წინათ სწავლობდა. რაკი ახლანდელი ბავშვი გაზრდილი და განვითარებულია ფიზიკურადაც და გონებრივადაც ცხადია, პროგრამაც გაიზარდა და გართულდა, და ეტყობა სწორედ აქ მოხდა რაღაც, აბა, დავუკვირდეთ იქნებ, გაზრდა სხვა რამეა და გართულება სხვა რამე. იქნებ, გართულება შეიძლებოდეს გაუზრდელად. ან უფრო მეტიც, გართულება შეიძლებოდეს შემცირების ხარჯზეც კი... სად არის დაშვებული შეცდომა? არადა, შეცდომა რომ დაშვებულია, ცხადია — ამას — „რეპეტიტორობის ინსტიტუტი" ადასტურებს.

რასაც ასწავლიან, ვინც ასწავლის და ვინც სწავლობს, თუ ერთმანეთს ჰარმონიულად არ ერწყმის. მიზეზი აუცილებლად უნდა მოიძებნოს. რადგან სწავლება ამ სამი კომპონენტისაგან შედგება, ხოლო ამ საკითხის გარკვევის სიძნელე ის არის, რომ მათი ცალ-ცალკე გამოჯვნა, შესწორება, გაწმენდა, შელამაზება და ისევ შეერთება არ შეიძლება.

ეს არის სწავლების, როგორც პროცესის, მთელი სირთულე და ამას ისიც უნდა დავუმატოთ, რომ იზოლირებულად, ჰაერში გამოკიდებული კი არ მიმდინარეობს, მას მჭიდრო კავშირი აქვს ყველა სოციალურ ძვრასთან, საზოგადოებრივ და განსაკუთრებით საოჯახო ურთიერთობასთან.

თუ ბავშვის უნარი და სასწავლო პროგრამა პროპორციულად გაიზარდა, მათ შორის შუამავალი — მასწავლებელი ხომ არ ჩამორჩა? მაშინ უპირველესად მასწავლებლის პრობლემა ყოფილა შესასწავლი. ალბათ ასეც შეიძლება ამ საკითხის დაყენება.

ისწავლე, სწავლის მძებნელო!..

კაცმა ჰირი მალა, მალა,
ჰირმა თავი არ დამალა!

ხალხური.

როგორც უნდა დავაყენოთ ეს საკითხი, მოსწავლის გამტყუნება არ იქნება სწორი. ბავშვის ყველა ნაკლის სათავე ჩვენში უნდა ვეძებოთ!

ალბათ დადგა დრო, ბავშვისა და ტელევიზიის, როგორც შემეცნების წყაროს, ურთიერთობაც შევისწავლოთ საფუძვლიანად. შევისწავლოთ და. რაც მთავარია, მოვუხდინოთ ტელევიზიისა და სასწავლო პროცესის კოორდინაცია. აქ სასწავლო ტელევიზიაზე არ არის ლაპარაკი. აქ ლაპარაკია ბავშვის საერთო კომუნიკაციურ პროცესში მონაწილეობის შესახებ. დროა, ზუსტად დავგეგმოთ ბავშვის „სატელევიზიო დრო".

თანამედროვე მსოფლიო პრობლემებს შორის „თავისუფალი დროის" პრობლემა ერთ-ერთი ძნელად გადასაჭრელი პრობლემაა, ისიც ცნობილია, რომ ტელევიზია თავისუფალ დროში ანუ სავალდებულო საქმიანობის დროში უნდა ჩავტიოთ. ხომ არ დადგა დრო, ტელევიზიით სარგებლობა მოსწავლის „სავალდებულო დროის" შემცირების ხარჯზე მოხდეს?

ამას წინათ თბილისის ერთ-ერთი სკოლის დირექტორმა მიამბო: ერთი მოსწავლის მამამ შეგვიჩივლა, შინ მივედი და „ხელჩართული ბრძოლა" დამხვდაო.

— „ვოლკ ნა პსარნეს" არ სწავლობს! — მომახალა დედამ.

— „ვოლკ ნა პსარნეს" არ სწავლობს! — გაიმეორა ბებიამ.

— ზეპირად არ ვისწავლი! — თქვა ბიჭმა.

— რატომ?

— იმიტომ, რომ ტელევიზიაში დიდი თეატრიდან „დონ კიხოტს" გადმოსცემენ მინდა ვუყურო! მამა, შენ ეს ლექსი გასწავლეს?

— რა თქმა უნდა!

— ზეპირად?

— ზეპირად!

— აბა. თქვი!

— ახლა რაღა მახსოვს... ეს ორმოცი წლის წინათ იყო!

— გამოდის, არც მე მეხსომება ორმოცი წლის შემდეგ.

— გაარნია...

— ვინ დაწერა — ვიცი, შინაარსი — ვიცი, მორალი — ვიცი... აბა თქვი, დიდი თეატრის ყურება სჯობს თუ ოგვარაკის ზუთხვა?

— გაკვეთილი... გაკვეთილია!

— ამ უაზრო ფრაზის გარდა პასუხს ვერავინ პოულობს.

მომჩივლა, შინ მივედი და „ხელჩართული ბრძოლა" დამხვდაო.

— „ვოლკ ნა პსარნეს" არ სწავლობს! — მომახალა დედამ.

— „ვოლკ ნა პსარნეს" არ სწავლობს! — გაიმეორა ბებიამ.

— ზეპირად არ ვისწავლი! — თქვა ბიჭმა.

— რატომ?

— იმიტომ, რომ ტელევიზიაში დიდი თეატრიდან „დონ კიხოტს" გადმოსცემენ მინდა ვუყურო! მამა, შენ ეს ლექსი გასწავლეს?

— რა თქმა უნდა!

— ზეპირად?

— ზეპირად!

— აბა. თქვი!

— ახლა რაღა მახსოვს... ეს ორმოცი წლის წინათ იყო!

— გამოდის, არც მე მეხსომება ორმოცი წლის შემდეგ.

— გაარნია...

— ვინ დაწერა — ვიცი, შინაარსი — ვიცი, მორალი — ვიცი... აბა თქვი, დიდი თეატრის ყურება სჯობს თუ ოგვარაკის ზუთხვა?

— გაკვეთილი... გაკვეთილია!

— ამ უაზრო ფრაზის გარდა პასუხს ვერავინ პოულობს.

ეს ფრაზა ბავშვს ესმის — მანქანის „პრავა" ამდენი ღირს, კარგ ატესტატს უფულოდ ვერ იშოვი. ნიშანი უნდა „ჩაიწყო" და სხვა, და თვალით კიდევ ათას სხვა რამეს ხედავს... თანდათან შეუმჩნევლად, ხშირად ჩვენი სურვილის წინააღმდეგ იზრდება ზუსტად ჩვენი პროდუქტი, ჩვენი ალი ცალი... ოღონდ უფრო მკაცრი ეგოისტი, რომელმაც მხოლოდ მოთხოვნა იცის — მე მინდა. ჩემთვის მინდა, მიყიდეთ, ჩამაცვით, დამახურეთ, დამასვენეთ!

ძე... მე... მე, — და ასე ჩვენვე ვზრდით ჩვენსავე მტრებს, მ�, აქაც ნუ ვურევთ ერთმანეთში „პანიკასა" და „განგაშს", მადლობა ღმერთს, ფიზიკის კანონია, რაც მეტია დაწოლა. მით უფრო მეტია წინააღმდეგობა. ფუნთი გონების დაბინდვამ, საზოგადოების წინააღმდეგობა და ზიზღიც შვა, სწორედ საზოგადოების დიდი ნაწილის სიფხიზლეა იმის მიზეზი, რომ დღეს ჩვენ ისეთი კარგი. ახალგაზრდობა გვყავს, რომ ავ თვალს არ დაეწანავება! **ჩანს ეს მძაფრი კონტრასტი, ჩვენი საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპის დამახასიათებელი ნიშან-თვისებაა.**

ყოველივე ამან დიდი გავლენა მოახდინა სკოლისა და ოჯახის ურთიერთობაზე. თურმე რომ სკოლა საზოგადოების ყოველი ფენის შეხების წერტილია. აქ ყველას შვილი ერთად სწავლობს, აქ „იზოლირებული" არავინ არ არის. და ერთნაირი სასკოლო ფორმის მიუხედავად ვხედებით უხილავ, ოჯახის დონის მიხედვით „დახარისხებას", ეს განსაკუთრებით მშობელთა კრებაზე ჩანს!

□

...მასწავლებელი ხშირად ლანძღავს მშობელს, მშობელი ხშირად ლანძღავს მასწავლებელს — ორივე ცდება, აქ ერთი ზარალდება მხოლოდ — ბავშვი!

დადგი გურამიშვილი ამბობდა — „სწავლის ძირი მწარე არის, კეხწეროში გატკბილდებისო".

ვინ რას იტყვის ამაზე ჭემმარიტს.

ეტყობა. ჩვენ ჯერ „სწავლის ძირი" გვაქვს მოსავლელი და მოსახვი... სკოლა საუწყებო დაწესებულება არ არის, იგი ეკუთვნის ხალხს, ბუჯრია ეროვნებისა! ...ეროვნებისა! ...ეროვნებისა!

რ. ფვალიშვილი.



ქართული სიტყვის დიდოსტატი

მ. ჯავახიშვილის დაბადების მე-100 წლისთავისათვის

1980 წელს სრულდება გამოჩენილი ქართველი საბჭოთა მწერლის მიხეილ ჯავახიშვილის დაბადების მე-100 წლისთავი. მწერლის იუბილესთან დაკავშირებით შეიქმნა ამ თარიღის აღმნიშვნელი კომისია, რომელსაც საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი გ. აბაშიძე მეთაურობს (საქინფორმი).

რევოლუციის მონაპოვარი

მანაგუა, 24 აგვისტო. ნიკარაგუას ეროვნული აღორძინების დროებითი დემოკრატიული მთავრობის ხელმძღვანელმა საბჭომ მოიწონა დეკრეტი „ნიკარაგუელთა გარანტირებისა და უფლებების შესახებ". ეს დოკუმენტი, რომელიც დიქტატორული რეჟიმის დამხობიდან ერთი თვის შემდეგ მიიღეს, აქ მიიჩნიეთ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს რევოლუციურ მონაპოვრად ნიკარაგუელი ხალხისა, რომელიც უკანასკნელი თითქმის 45 წლის მანძილზე მოკლებული იყო ყველაზე ელემენტარულ უფლებებსა და თავისუფლებებს.

ნიკარაგუელ ხალხს, ხაზგასმულია დოკუმენტში უფლება აქვს სრულად და თავისუფლად განსაზღვროს თავისი პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული განვითარება, ხოლო სახელმწიფო იძლევა ქვეყნის ძირითად საქმეებში ხალხის უშუალო მონაწილეობის გარანტიას. ნიკარაგუელ ხალხს ენიჭება უფლება თავისუფლად განაგებდეს თავის სიმდიდრეებსა და ბუნებრივ რესურსებს.

დეკრეტი აცხადებს, რომ ნიკარაგუას ყველა მოქალაქე თანასწორია კანონის წინაშე და კრძალავს დისკრიმინაციას წარმოშობის, კანის ფერის, ენის, რელიგიის, შეხედულებების, მატერიალური მდგომარეობისა და სხვა სოციალური ნიშნების მიხედვით.

ნიკარაგუაში გაუქმებულია სიკვდილით დასჯა, წამება, პატიმართა მიმართ სასტიკი არაადამიანური მოპყრობა, სასჯელის უმაღლეს ზომად დეკრეტი ითვალისწინებს 30 წლის პატიმრობას.

დეკრეტის შესაბამისად ნიკარაგუელებს ენიჭებათ სიტყვის, კრებების, ასოციაციების თავისუფლება, პოლიტიკური პარტიებისა და პროფკავშირული ორგანიზაციების შექმნა, არჩევნებში მონაწილეობისა და სახელმწიფო პოსტებზე არჩევის უფლება.

ყველა ნიკარაგუელს აქვს შრომის უფლება, ხაზგასმულია დოკუმენტში. სახელმწიფო ეცდება მიაღწიოს ყველა მოქალაქის სრულ და პროდუქტიულ დასაქმებას და თანაბარი შრომისათვის თანაბარი ანაზღაურების უზრუნველყოფას..

დეკრეტი თითოეულ ნიკარაგუელ მოქალაქეს ანიჭებს განათლების უფლებას. დაწყებითი და საშუალო განათლება, აღნიშნულია დოკუმენტში, იქნება უფასო, სავალდებულო და ყველასათვის ხელმისაწვდომი.

დეკრეტი კრძალავს მშვიდობის წინააღმდეგ რასობრივი თუ რელიგიური შუღლის გაღვივებისათვის პროპაგანდას.

დეკრეტი „ნიკარაგუელთა გარანტიებისა და უფლებების შესახებ"

□

ტიას. ნიკარაგუელ ხალხს ენიჭება უფლება თავისუფლად განაგებდეს თავის სიმდიდრეებსა და ბუნებრივ რესურსებს.

დეკრეტი აცხადებს, რომ ნიკარაგუას ყველა მოქალაქე თანასწორია კანონის წინაშე და კრძალავს დისკრიმინაციას წარმოშობის, კანის ფერის, ენის, რელიგიის, შეხედულებების, მატერიალური მდგომარეობისა და სხვა სოციალური ნიშნების მიხედვით.

ნიკარაგუაში გაუქმებულია სიკვდილით დასჯა, წამება, პატიმართა მიმართ სასტიკი არაადამიანური მოპყრობა, სასჯელის უმაღლეს ზომად დეკრეტი ითვალისწინებს 30 წლის პატიმრობას.

დეკრეტის შესაბამისად ნიკარაგუელებს ენიჭებათ სიტყვის, კრებების, ასოციაციების თავისუფლება, პოლიტიკური პარტიებისა და პროფკავშირული ორგანიზაციების შექმნა, არჩევნებში მონაწილეობისა და სახელმწიფო პოსტებზე არჩევის უფლება.

ყველა ნიკარაგუელს აქვს შრომის უფლება, ხაზგასმულია დოკუმენტში. სახელმწიფო ეცდება მიაღწიოს ყველა მოქალაქის სრულ და პროდუქტიულ დასაქმებას და თანაბარი შრომისათვის თანაბარი ანაზღაურების უზრუნველყოფას..

დეკრეტი თითოეულ ნიკარაგუელ მოქალაქეს ანიჭებს განათლების უფლებას. დაწყებითი და საშუალო განათლება, აღნიშნულია დოკუმენტში, იქნება უფასო, სავალდებულო და ყველასათვის ხელმისაწვდომი.

დეკრეტი კრძალავს მშვიდობის წინააღმდეგ რასობრივი თუ რელიგიური შუღლის გაღვივებისათვის პროპაგანდას.

ერთიანობისა და ბრძოლისუნარიანობის საფუძველზე ახალი ეპოქის საქართველოს კორესპონდენტები

გადაჭრით დაგვეს

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის აპარტეიდის წინააღმდეგ მებრძოლი კომიტეტის სხდომა

□

ნიუ-იორკი, 24 აგვისტო. აქ გაიმართა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის აპარტეიდის წინააღმდეგ მებრძოლი სპეციალური კომიტეტის მორიგი სხდომა, რომელიც მიეძღვნა აფრიკის კონტინენტზე კოლონიალიზმის, აპარტეიდისა და რასობრივი დისკრიმინაციის კერების ლიკვიდაციისა და კოლონიური უღლისაგან სამხრეთ აფრიკის ხალხთა უსწრაფესი განთავისუფლების საკითხებს.

სხდომის მონაწილეებმა გამოთქვეს ერთსულოვანი აზრი, რომ მხოლოდ ერთობლივი, კოორდინირებული მეცადინეობით შეიძლება დაჩქარდეს სამხრეთ აფრიკელ ხალხთა განთავისუფლების პროცესი, რომლებიც ჯერ კიდევ იმყოფებიან პრეტორიისა და სოლსბერის რასისტული რეჟიმების უღელქვეშ, რეჟიმებისა, რომლებსაც დასავლეთის ქვეყნების სრული მხარდაჭერით დაგეგმილი აქვთ თეთრკანიანი უმცირესობის სამუდამო ბატონობის დამკვიდრება.

კომიტეტის წევრთა დიდმა უმრავლესობამ გადაჭრით დაგმო დასავლეთის სახელმწიფოები, რომლებიც პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სამხედრო დახმარებას უწევენ რასისტულ რეჟიმებს და ამით აბუჩად იგდებენ მთელს მსოფლიოს, აფერხებენ კოლონიური ქვეყნებისა და ხალხებისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების დეკლარაციის შესრულებას, რომელიც საერთაშორისო გაერთიანებამ მიიღო საბჭოთა კავშირის ინიციატივით.

ფოტოინფორმაცია

მანაგუა. ნიკარაგუელი ხალხის რევოლუციური ავანგარდის — სანდინოს სახელობის ეროვნული განთავისუფლების ფრონტის მხარდასაჭერად ნიკარაგუის დედაქალაქში გრანდიოზული დემონსტრაცია გაიმართა. 100 ათასზე მეტი კაცი გამოვიდა ქალაქის ქუჩებში პლაკატებითა და ტრანსფარანტებით.

სურათზე: დემონსტრაციის დროს. ADN-საქდესის ტელეფოტო.

საბჭოთა გამოფენა ვენაში

ვენა, 24 აგვისტო. ვენელთა დიდი ინტერესი გამოიწვია მშვიდობისა და პროგრესის სამსახურში მეცნიერებისა და ტექნიკისადმი მიძღვნილმა საბჭოთა გამოფენამ, რომელიც დედაქალაქის ბაზრობათა სასახლეში გაიხსნა.

ექსპოზიცია იხსნება სტენდით, რომელიც ასახავს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის დაუცხრომელ მოღვაწეობას ქვეყნად მტკიცე მშვიდობის უზრუნველყოფისათვის.

გამოფენის ექსპონატები მნახველებს აცნობენ საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევებს სხვადასხვა დარგში, სამოცდაათიანი წლების უდიდეს მშენებლობებს. ვენელები ბევრ საინტერესოს შეიტყობენ საბჭოთა კოსმონავტიკის, ელექტროენერგეტიკის, ბარემოს დაცვის, ჯანმრთელობის დაცვის, სოფლის მეურნეობის, განათლების, სსრ კავშირის საერთაშორისო ურთიერთობის შესახებ.

მდგომარეობა ირანში

თეირანი, 24 აგვისტო. როგორც ადგილობრივი რადიოს ცნობები მოწმობენ, დასავლეთ ირანში გრძელდება მთავრობის ჯარებისა და აჯანყებულ ქურთთა შეიარაღებული შეტაკებანი. ქურთები ავტონომიას მოითხოვენ. ბრძოლები გაიმართა ქალაქ სეკეზის მახლობლად. ორივე მხარეს ჰყავთ დახოცილნი და დაჭრილნი. დახოცილთა შორისაა 28-ე ქვეითი ჯარის დივიზიის მეთაური.

დაძაბული მდგომარეობაა ქალაქ შეჰაბადში, სადაც, როგორც თეირანის რადიო იუწყება, დღეს გაანადგურეს ხელისუფალთა მიერ აკრძალული ქურთთა დემოკრატიული პარტიის შტაბბინა.

ხომეინიმ რადიოთი არმიასა და „რევოლუციის გუშაგებს" მოუწოდა კოორდინაცია გაუწიონ თავიანთ მოქმედებას, აგრეთვე განუხრელად დაიცვან დისციპლინა.

ხომეინიმ გამოაცხადა იმ ქურთთა ამნისტია, რომლებიც ნებაყოფლობით ჩაბარებენ იარაღს. მან ირანის ნავთობის ეროვნული კომპანიის განმკარგულებელ დირექტორს ბრძანება მისცა ირანის ქურთისტანის განვითარებისათვის გამოყოს ნავთობის გაყიდვის ერთი დღის შემოსავალი.

ლონდონი, 24 აგვისტო. ამას წინათ ირანის ხელისუფლების მიერ აკრძალული ქურთთა დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნომ გამოაქვეყნა განცხადება. როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, განცხადებაში გამოთქმულია მკაცრი პროტესტი იმის წინააღმდეგ, რომ ქურთებს სიკვდილით სჯიან ირანის რევოლუციური ტრიბუნალების განაჩენებით. ქურთთა დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნო მოითხოვს შეწყდეს რეპრესიები და გაათავისუფლონ ყველა დაპატიმრებული.

აიძულებენ დუმილს

პარიზი, 24 აგვისტო. როგორც ფრანს პრესის სააგენტო იუწყება, საფრანგეთის ხელისუფლებამ მხარი დაუჭირეს სასამართლო ინსტანციის გადაწყვეტილებას პრეტორიის რეჟიმისთვის სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ინფორმაციის სამინისტროს ყოფილი მუდმივი მდივნის ე. რუდის გადაცემის შესახებ.

რუდი, აპარტეიდის ძირითადი ფიგურა ქვეყანაში მომხდარი ფინანსური სკანდალისა, დაჯარიმებულ „ინტერპოლის" ორდერით სამხრეთ საფრანგეთში მიმდინარე წლის ივნისში. რასისტ წინამძღოლთა უახლოესი დამქაში პირადად მონაწილეობდა მრავალმილიონიანი საიდუმლო ფონდის გამოყენებაში, რომელიც მათ შექმნეს „აპარტეიდის სისტემის პროპაგანდისა და იმათ მოსყიდვისათვის, ვინც დასავლეთში აყალბებს საზოგადოებრივ აზრს და იღებს პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს". რუდიმ ქურდობის შემდეგ მიატოვა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა. სკანდალის შედეგად გადადგნენ პრეზიდენტი ფორსტერი, ინფორმაციის მინისტრი მიულდერი და ხაზინის სხვა ქურდები.

საქართველოს სსრ პროკურორი.

ეს გაკვეთილი უნდა იყოს

ისმენენ საქმეს

ყაზანი ღვინის ქარხანა საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს „სამტრესტის" საწარმოო გაერთიანებაში შედის. ამას წინათ მან საქვეყნოდ შეირცხვინა თავი. აქ მოუკალათებია სოციალისტური საკუთრების დამტაცებელთა ჯგუფს. ბოროტმოქმედების ინიციატორები იყვნენ მარნის ყოფილი უფროსი გაჩეჩილაძე, ჩამოსასხმელი საამქროს ყოფილი უფროსი ბახსოლიანი და მზა პროდუქციის საწყობის ყოფილი გამგე კოგანი. მათ გარს შემოიკრიბეს უპრინციპო, საეჭვო წარსულის მქონე მეღვინეები, დაცვის მუშაკები, მეტრანსპორტეები და გამყიდველები. მოთავეები და მათი დამქაშები ყველაფერს ადარებულობენ: ხელოვნურად ამცირებდნენ კომპონენტების ხარჯვის ნორმებს, ღვინოს აკლებდნენ ბოთლებში, წყალს ურევდნენ, დიდძალ პროდუქციას ჩამოსწერდნენ ჩამოსხმის პროცესში დანაკარგების სახით. საწარმოში პროდუქციის ნამეტი იქმნებოდა. ისღა რჩებოდა, რომ გაეტანათ და გაეყიდათ.

დამნაშავეებმა თავიანთ კომპანიაში უწინარეს ყოვლისა ჩაითრიეს ქარხნის დაცვის უფროსი ფაზრუტდინოვა, რისთვისაც „მტაცეკ ნიხრი" დაუწესეს — 30 მანეთი უკანონოდ გატანილი ყოველი პარტია ღვინისათვის. ამ ნიხრის მეშვეობით „გავლენას ახდენენ" რიგითს მცველებზე. ლაგამმიშვებული თაღლითობა შესაძლებელი გახდა იმის გამო, რომ ქარხანაში სრული უკონტროლობის ატმოსფერო სუფევდა. ქარხნის დირექტორი მ. შარაშენიძე და პარტიული ორგანიზაციის მდივანი გ. ბობიკინა თვალს ხუჭავდნენ იმაზე, თუ როგორ ისყიდავდნენ ხელმძღვანელ ადამიანები მუშებს სამმანეთიანებით და ხუთმანეთიანებით.

მიტაცებული საქონლის გასაზიდად „მარცხენა" მანქანები მოჰყავდათ. ვთქვათ, „ყაზანტრანსმშენის" საწარმოო გაერთიანების სატვირთო მანქანა №1 ტრესტის მეექვსე სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს გამოეყო. იქ სადისპეტჩერო ჟურნალში აღნიშნავდნენ, რომ მანქანა მარშრუტიდან დაბრუნდა. მაგრამ არც გაერთიანების საექსპლოატაციო სამსახურის უფროსი დ. შამსუტდინოვი, არც სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს ყოფილი უფროსი ვ. ბუტაევი არ დაინტერესებულან, სად იყო და რას შვრებოდა მძღოლი რ. ხასანოვი. მას მაღაზიებში გადაჰქონდა ღვინო და აზრადაც არ მოსდიოდა, რომ პროდუქციის ნაწილი მოპარული იყო.

მთელი რიგი სავაჭრო საწარმოების ხელმძღვანელებიც ამ დანაშაულებრივი ბანდის წევრები იყვნენ. გაჩეჩილაძემ და კოგანმა 24 დახლის მუშაკი ჩააბეს თავიანთ „საქმეში". აქტიურ მონაწილეთა შორის იყვნენ მაღაზიების დირექტორები ვალიულინა, სკაზეცკაია, ეუკოვსკი და სხვები. მათი „ნიხრი" უფრო დიდი იყო — ნავაჭრის მეოთხედი.

როგორც ხედავთ, ტრანსპორტისა და ვაჭრობის ზოგიერთი მუშაკი თაღლითებს აჰყავა ივიდე უკონტროლობის გამო, რომელსაც კიდევ უფრო ფართო მასშტაბი ენიჭებოდა სავაჭრო საწარმოთა ხელმძღვანელების აღმაშფოთებელი უთაურობის შედეგად. ძიების მასალებში არის ასეთი ეპიზოდი. კიროვის რაიკომებაჭრობაში მყიდველთა სიგნალი მიიღეს: მაღაზიის გამგე სკაზეცკაიას მოპარული ღვინო შემოუტანია და ყიდისო. სავაჭრო სამმართველოს დირექტორმა ხამზინმა შემმოწმებელნი გაგზავნა. თითქოს ახლა კი ჩაიჭერდნენ დამნაშავეებს. მაგრამ კომისიის წევრებმა დაარღვიეს ელემენტარული მოთხოვნა. ნაშთი ისე ჩამოწერეს, რომ საარღიცხვო საბუთებთან არ შეუდარებიათ. ამიტომ ნამეტი ღვინო ვერ აღმოაჩინეს.

ჭირი მოგჭამათ ქურდების ფირმამ, რომელიც მომხვეჭელობის მერყევ ნიადაგზე იყო დაფუძნებული. დამთავრდა სასამართლო პროცესი, რომელიც მრავალ თვეს გრძელდებოდა. არქივს ჩაბარდა სისხლის სამართლის საქმის სქელ-სქელი საქაღალდეები. გამოუსწორებელი დამნაშავენი მკაცრად დაისაჯნენ. გაჩეჩილაძეს და ბახსოლიანს 15-15 წლის თავისუფლების აღკვეთა მიესაჯათ, კოგანს — 13 წლისა, კონფისკაციებულია მათი პირადი ქონება. საკადრისად მიეზღოთ დატაცების დანარჩენ მონაწილეებსაც, მათ შორის მაღაზიების ყოფილ დირექტორებს: ვალიულინასს თავისუფლება აღკვეთა 12, სკაზეცკაიას 8 და ეუკოვსკის — 6 წლით.

მართლმსაჯულებამ გაიმარჯვა. მაგრამ ამ საქმის დავიწყება ჯერ ადრეა. და არა მარტო იმიტომ, რომ მეტისმეტად დიდია ზარალი, არამედ იმიტომაც, რომ ჯერ არ გამოგვიტანია სათანადო დასკვნები: პირობები, რომელთა გამო დამტაცებლები დაუბრკოლებლად აიმასჭნებდნენ თავიანთ ბნელ საქმეებს, მთლიანად და ყველგან არ არის აღმოფხვრილი.

მაგალითად, როგორ მოხდა, რომ „სამტრესტის" გაერთიანების ხელმძღვანელობამ შესაძლებელად მიიჩნია ყაზანში მარნის უფროსის პასუხსაგებ თანამდებობაზე გაეგზავნა ორჯერ ნასამართლევი გაჩეჩილაძე? ან ავტომობილების გამოყენებაში არსებული არეულობა რაღაა? დანაშავეები ხომ ქალაქის თითქმის ყველა სატრანსპორტო ორგანიზაციის მანქანებით სარგებლობდნენ.

საგანგაშოა ის ფაქტი, რომ იმ საწარმო-დაწესებულებათა არც ერთ ხელმძღვანელს, სადაც თაღლითებმა მოიკალათეს, დღემდე საყვედურიც კი არ სმენია. სამწუხაროდ, თათრეთის ასსრ უმაღლესი სასამართლოს კოლეგიამ სასამართლოს წევრის ვ. სტრელნიკოვის თავმჯდომარეობით საჭიროდ არ ცნო გამოტანა მათ გამო კერძო განჩინება.

ინერტულ პოზიციას დაადგნენ პარტიის ყაზანის საქალაქო კომიტეტი და საქალაქო საბჭოს აღმასკომი. რით უნდა აიხსნას მომხდარი ამბავი, თუ არა იმით, რომ ნაკლოვანებანი ჰქონდათ კადრების შერჩევა-განაწილებაში და შრომითს კოლექტივებში პოლიტიკურ-აღმზრდელობითს მუშაობაში. ქალაქში ხომ მთელი 11 თვის მანძილზე თავხედურად პარპაშებდნენ ოღონ გამდიდრების მოყვარულნი, რომლებმაც ბეგარიანი თანხით — 100 ათას მანეთზე მეტი თანხით მოითბეს ხელი.

რ. საბიროვი,
(„პრავდის" კორ.)

„პრავდა", 1979 წ. 24/VIII.

ჟ. ყაზანი.

ჩვენი ქალაქი ჩვენი ოჯახია!

ქუჩაში დადის რაზმელი

პირველი დღეები განსაკუთრებით დაძაბული იყო. მარტო კალინინის რაიონის ერთ საფილტრაციო პუნქტში (ასეთი პუნქტი კი ამ რაიონს ხუთი აქვს) ერთთვიურის პირველი 15 დღის მანძილზე 609 ადამიანი მოიყვანეს, ზოგს უკვირდა — რა მოხდა, რა დავაშავე ასეთიო! პირიქით, ავტოტრანსპორტიდან ჩამოსვლისას მძღოლს საკუთარი კეთილსინდისიერების, დასადასტურებლად ბილეთიანი ხელი აუწია და თუ ბილეთი იქვე, ძირს დაადგო, ეს რა გასაკვირია, ასე ვინ არ იქცევა?! მაინცდამაინც დიდი დარღვევა არც უბილეთოდ მგზავრობაა, არც აკრძალულ ადგილას მანქანის გაჩერება. როდის იყო, ამგვარი წვრილმანებისათვის, ასე მკაცრად მოეთხოვოთ პასუხი? ზოგი გაკვირვებას და უკმაყოფილებას უფრო აქტიური ფორმით გამოხატავდა — აქეთ ადანაშაულებდა სახალხო რაზმელებს — ძვირფას დროს ცუდუბრალოდ გვაკარგვინებთო!

მაგრამ არა. ეს დრო დაკარგული არ არის; სწორედ რომ, პირიქითაა. საფილტრაციო პუნქტებში, სადაც ქუჩაში წესრიგის დამრღვევნი შეყვანდათ, მათ მეგობრული რჩევით, ქთილი დარიგებით, უბრალო ახსნა-განმარტებით ხვდებოდნენ; ესაუბრებოდნენ იმაზე, თუ რატომ არ არის უქმად დაკარგული დროის ეს მცირე მონაკვეთი, რატომ გახდა საჭირო ამგვარი რადიკალური ღონისძიება — სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ერთთვიური, რომ ამ წვრილმანი უწესრიგობიდან, რომელსაც, ჩანს, ისე შეეჩვიეთ, თვალშიც აღარ გვხვდება და მასთან ბრძოლაც ვეღარც წარმოგვიდგენია, დიდი მანძილი აღარ არის უფრო სერიოზულ დანაშაულამდე.

ახლა ასე აღარ არის. პუნქტებში ხალხი შეთხელდა. ამკარად იკლო წესრიგის დამრღვევთა რიცხვმა. თურმე არც ისე ძნელი ყოფილა წესრიგის ელემენტარული ნორმების დაცვა. ამაში დიდი წვლილი მიუძღვით იმათ, ვინც ყოველი ფეხის ნაბიჯზე ხვდება ყოველ ჩვენგანს დედაქალაქის ქუჩებში, — სახალხო რაზმელებს. ისინი მაშინ გამოდიან სამორიგეოდ, როდესაც თბილისი მხოლოდ იღვიძებს. ერთ ჯგუფს მეორე ცვლის, მეორეს — მესამე და ასე, გვიან ღამემდე დარიჯობენ ქუჩებში თანაქალაქელთა მშვიდ ყოფას.

დედაქალაქის ცენტრალური მაგისტრალი, ყველასათვის განსაკუთრებით საყვარელი ადგილი— რუსთაველის გამზირი. ქუჩის ერთ მხარეს ერთი სახალხო რაზმელი დგას, აქეთ — მეორე. სასტუმრო „თბილისის“ წინ რამდენიმე უცხოელმა სტუმარმა გადაკრა ქუჩა. მკლავზე წითელლენტიანი ახალგაზრდა მამაკაცი მიუახლოვდა მათ. გამვლელები ცდილობენ შეახსენონ მას ჩვენი სტუმრობმოყვარული წესი — ჩამოსულია, უხეშად არაფერი ჰკადრიო — ანიშნებენ. მაგრამ ყველაფერი ამშვიდობიანად მთავრდება — რაზმელი თავაზიანად უხსნის სტუმრებს, რომ ამ ადგილს გადასვლა არ შეიძლება და იქვე ახლოს მიწისქვეშა გადასასვლელისკენ უთითებს. ისინიც ბოდიშს იხდიან.

სოლოლაკი. ძველი თბილისის ერთ-ერთი ულამაზესი უბანი მისთვის დამახასიათებელი სიმშვიდით. რაზმელები, რასაკვირველია, აქაც არიან. შუახნის მამაკაცი გადმოდის ქუჩაზე, გადასასვლელი კი სულ რამდენიმე ნაბიჯზეა. ამას ჰქვია, ჩვეულება რჯულზე უმტკიცესაო. რაზმელის შენიშვნაზე კეთილად იღიშება, განა ღირს ორიოდ ნაბიჯის გამო შენიშვნის მიცემამო! — კი, მაგრამ ორიოდ ნაბიჯის გამო ღირს წესის დარღვევა?

მოწინავე რაზმელებს— ნოდარ მათიშვილს („საქმავარწყალმშენი“), ცეზარ ბაკრაძეს (დამზადების სამინისტრო), უ. გავაშელს („ცენტროსოიუზპროექტი“), ი. ტასოევს (რესპუბლიკური ბანკი), ო. აბაშმაძეს (სოფლის მეურნეობის სამინისტრო) და სხვებს უმცროსი კოლეგები უდგანან მხარში. მ. პაიჭაძე თბილისის 51-ე საშუალო სკოლის მოწაფეა. აი იგი პუნქტში მოიძღვება ახალგაზრდა კაცს, რომელიც თურმე, უბილეთოდ მგზავრობდა და ბიჭმა „დაკავა“. რა თქმა უნდა, 13-14 წლის ბიჭის ნებას არ დაჰყვებოდა მესამე კურსის სტუდენტი, ამტომ იქვე მდგომი მილიციელის მოშველიება გახდა საჭირო. უბილეთოდ მგზავრობის მოყვარულნი გამოავლინა გ. ბახტაძემაც — თბილისის მე-100 საშუალო სკოლის მოწაფემ.

ისინი და სხვა მათი ტოლი გოგო-ბიჭები უთითებენ უფროსებს — თემურ შიხაშვილს, ნანა დეკანოიძეს, ცისანა მაჩიტაძეს, ნანა გულუაშვილს, ეფრემ ცხვედიანს, ელგუჯა ალიბეგაშვილს, რომ ავტოტრანსპორტიდან ჩამოსვლისას ძირს არ დაყარონ ბილეთები. და აი შედეგიც — გაჩერებებთან ასფალტი ბილეთებით აღარ არის მოფენილი.

კალინინის რაიონის ნებაყოფლობითის სახალხო რაზმელთა შტაბიდან ყოველდღე 40-50 რაზმელი გადის სამორიგეოდ, გასვლის წინ შტაბში იყრიან თავს, სადაც ინსტრუქტაჟი უტარდებათ იმის შესახებ, თუ რა ევალებათ კონკრეტულად, რაზე უნდა გამამჯვილონ ყურადღება დღეს და საერთოდ.

ორჯონიკიძის რაიონის სახალხო რაზმელთა შტაბშიც სწორედ მაშინ მივედით, როცა ასეთი ინსტრუქტაჟი მთავრდებოდა. იქვე რაზმელებმა თავთავიანთი სამორიგეო უბნებს მიაშურეს.



— ჩვენთან სულ 281 რაზმელი, 44 საგუშაგო და 9 ათასი სახალხო რაზმელია, გვეუბნება რაიონული შტაბის უფროსის მოადგილე ვ. იაკობიძე. ყველა სახალხო რაზმელი კეთილსინდისიერად ასრულებს თავის მოვალეობას, მაგრამ მჯობნის მჯობნს რა დალევს და მათ შორისაც გამოირჩევიან № 3 ტრიკოტაჟის ფაბრიკის ტექნოლოგი ე. ნიკოლაიშვილი, ელექტრონული მანქანების ტექნოლოგიის ინსტიტუტის უფროსი ინჟინერი ნ. მჭედლიშვილი, „თბილისის“ სამმართველოს გაზის ქსელებისა და მარეგულირებელი სადგურების ტექნიკოსები ლ. ღონღაძე, მ. გამანოვა, მ. ზუბაშვილი, მრავალდარგოვანი საწარმოო გაერთიანების პარტბიუროს მდივანი გ. ყურაშვილი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი რ. ხაჩატურიანი.

რაიონის სახალხო რაზმელებმა წესრიგის ბევრ დამრღვევს მიუთითეს, მაგრამ საქმე ამით არ მთავრდება. თითოეული მათგანის შესახებ სათანადო რეაგირებისათვის სპეციალურ მიმართვას აგზავნიან მათს სამსახურსა თუ სასწავლებელში. შედეგებიც არ არის ურიგო. მაგრამ ზოგიერთ წარმოება-დაწესებულებასა თუ ორგანიზაციაში ამ საქმეს, სამწუხაროდ, მეტად უმნიშვნელოდ, წვრილმანად თვლიან და დამრღვევთა მიმართ არავითარ ღონისძიებებს არ ახორციელებენ. ალბათ, სწორედ ამის გამო იყო, რომ თბილისის ხისდამშუშავებელი კომბინატის იურისკონსულტმა მ. წურწუმიამ, რომელიც მოძრაობის წესების დარღვევისათვის დაკავეს, რაზმელებს უთხრა: ეგ თქვენი მიმართვა ჩვენს კომბინატში სასაცილოდაც არ ეყოფათო.

სწორედ ამიტომ წესრიგისათვის ბრძოლაში უფრო მეტი თანამიმდევრულობა და მომთხოვნელობაა საჭირო. ქალაქში მიმდინარე ერთთვიურმა კარგი ნაყოფი გამოიღო, მაგრამ ეს არ კმარა. დისციპლინის განმტკიცება და სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა თითოეული ჩვენგანის ყოველდღიური საზრუნავი უნდა იყოს და არა კამპანიური ხასიათის ღონისძიება.

აი ამ გზით დამყარდება ჩვენს დედაქალაქში სანიმუშო წესრიგი, რისთვისაც ასე იბრძვის დღეს ჩვენი საზოგადოება.

რ. რუსია,
ბ. ხარებავშვილი,

● ●

სურათებზე: მარცხნივ — მიმდინარეობს ქალაქ თბილისის ორჯონიკიძის რაიონის ნებაყოფლობითი სახალხო რაზმელების შტაბის სხდომა. კალინინის რაიონის სახალხო რაზმელები — თბილისწყალსადენის გაერთიანებული სამმართველოს ელექტრიკოსი გ. ხუციშვილი და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო ინფორმაციის ცენტრის უფროსი ლაბორანტი მ. ტაიარი მორიგეობის დროს ეხმარებიან მრავალშვილიან დედებს ბავშვების გადასასვლელზე გადაყვანაში.

ს. კილაძის („კომუნისტი“) და ბ. ნახუცრიშვილის ფოტო.

ᲠᲐ ᲕᲜᲐᲮᲝᲗ, ᲠᲐ ᲛᲝᲕᲘᲡᲛᲘᲠᲜᲝᲗ



საქართველოს ტელევიზიის ერთი ქვირის პროგრამა

27 აგვისტო

პირველი პროგრამით: 09.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 17.00 — მულტიპლიკაციური ფილმები, 17.35 — ბავშვის საერთაშორისო წელი — საგელვეზიო მხატვრული ფილმი — „ნანი“, 18.45 — „ვესტნიკი“ — საინფორმაციო პროგრამა, 19.15 — ფიქრები' ომზეცრალზე, 19.50 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა (ფ.), 20.20 — ჩვენი მეზობელი თურქეთი — თურქეთის ეროვნული დღესასწაულის გამარჯვების დღისადმი მიძღვნილი პროგრამა (მ.), 20.55 — საგელვეზიო მრავალსერიანი მხატვრული ფილმი „თუში მეცხვარე“ პრემიერა. კინოფილი სერია (მ.), 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 22.35 — საბჭოთა კავშირის ჩემპიონაები ფეხბურთში: ცსკა-„დინამო“ (მოსკოვი).

მეორე პროგრამით: 18.05 — მუსიკალური კალეიდოარი, 18.45 — საგელვეზიო მრავალსერიანი მხატვრული ფილმი „მისი აღმაგებულების ადიუტანტი“. (პირველი სერია).

28 აგვისტო

პირველი პროგრამით: 09.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 09.40 — ჩვენს დიად სამშობლოში — დოკუმენტური ფილმი: „სახლი ვარ და ადამიანები“, 10.50 — საგელვეზიო მრავალსერიანი მხატვრული ფილმი „თუში მეცხვარე“. პირველი სერია (მ.), 17.00 — მულტიპლიკაციური ფილმი, 18.05 — „საქვეყნოდ ვიგვანი მე აქ ვარ“ (გამეორებით), 18.45 — მუსიკალური შეხვედრები, 19.45 — დღეს (მ.), 20.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 20.30 — ქართული მოკლეფეგრაგიანი მხატვრული ფილმი „ბავშვობა“, 21.00 — საბჭოთა კავშირის ჩემპიონაები ფეხბურთში. „დინამო“ (კიევი)-„დინამო“ (მინსკი), 21.45 — ჩვენს დიად სამშობლოში „საგელვეზიო დოკუმენტური ფილმი „დრო და ქალაქი“, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 22.35 — საბჭოთა კინოს 60 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ანსამბლის დიდ თეატრში.

მეორე პროგრამით: 18.30 — საგელვეზიო მრავალსერიანი მხატვრული ფილმი „მისი აღმაგებულების ადიუტანტი“ (მეორე სერია).

29 აგვისტო

პირველი პროგრამით: 09.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 17.00 მულტიპლიკაციური ფილმი, 17.15 — ბავშვის საერთაშორისო წელი — საგელვეზიო მხატვრული ფილმი — „ეს სიმპათიური მგლები“, 19.00 — პროფესიულ-გეგმიანური განათლების სისტემაში. ახალი სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით. სტუდიაში — სსრ კავშირის პროფესიულ-გეგმიური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ა. ბულგაკოვი (მ.), 19.30 — მუსიკალური შესვენება, 20.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 20.30 — საბჭოთა კომპოზიტორების სიმღერები“, 20.50 — საგელვეზიო მრავალსერიანი მხატვრული ფილმი „თუში მეცხვარე“. პრემიერა — მეორე სერია (მ.), 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 22.35 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 23.00 — „ბოდიშს ვიხდი“ — ლ. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონიდან). შეხვედრის დროს კინოსარკვეული, 21.45 — ბილოცავთ ახალ სასწავლო წელს, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 22.35 — საგელვეზიო მრავალსერიანი მხატვრული ფილმი „თუში მეცხვარე“. პრემიერა — მესამე სერია (მ.).

მეორე პროგრამით: 18.05 — ჩვენს დიად სამშობლოში — საგელვეზიო დოკუმენტური ფილმი „ყოველ დღე და მთელი სიცოცხლე“, 18.55 — „ეს ეს ერგრადა“.

1 სექტემბერი

პირველი პროგრამით: 09.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 10.35 — მულტიპლიკაციური ფილმი, 11.45 — საგელვეზიო მრავალსერიანი მხატვრული ფილმი „თუში მეცხვარე. მესამე სერია (მ.), 12.30 — მუსიკალური პროგრამა „დილის ფოსტა“ (მ.), 13.00 — გამარჯობა, სექტემბერო!, 13.50 — სახალხო მოქმედი, 14.00 — სახალხო განათლების ახალი კერა — აფხაზეთის უნივერსიტეტები, 14.30 — ფაბრიკა-ლეონა — სამეცნიერო-პოპულარული პროგრამა (მ.), 15.15 — ხვალ ნავთობისა და გაზის მრეწველობის მუშაკთა საკავშირო დღეა. სტუდიაში სსრ კავშირის გაზის მრეწველობის მინისტრი ს. ორუჯიევი (მ.), 15.30 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 16.15 — მელის გორის ვაჟთა გუნდი (ფ.), 17.15 — გილოცავთ სასწავლო წლის დაწყებას — კონცერტი, 17.55 — მუსიკალური შესვენება, 18.00 — ფეხბურთი საბჭოთა კავშირის პირველობაზე „დინამო“ (მოსკოვი) -„დინამო“ (კიევი) (მ.), 19.45 — ისმინე სწავლის მეგზველო!, 21.00— „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 22.35 — სცენები მუსიკალური სპექტაკლებიდან.

მეორე პროგრამით: 16.05 — საგელვეზიო მრავალსერიანი მხატვრული ფილმი „მისი აღმაგებულების ადიუტანტი (მეხუთე სერია), 17.30 — საესტრადო პანორამა.

2 სექტემბერი

პირველი პროგრამით: 09.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 11.00 — ცეროდენას ეკრანი, 11.30 — კინოფიფა, 12.00 — „სუფრად ზღაპართან“ — საგელვეზიო მხატვრული ფილმი „მხიარული სიზმარი ანუ ნიკილი და ცრემლები“ (მ.), 13.20 — პირველი ზარი, 14.30 — მუსიკალური კინოკი (მ.), 15.25 — კინოსმოყვარულთათვის, 16.50 — „ჩვენს დიად სამშობლოში“ — საგელვეზიო დოკუმენტური ფილმი „არსებითი სახელი — სკოლა“ (ფ.), 17.10 — კინოსმეზაურთა კლუბი (მ.), 18.10 — ბავშვის საერთაშორისო წელთან დაკავშირებით „ოოცა იარიბებიან პლეხეგის ბავშვები“ (ინტერნაციონალური ცვლა არგენტინა), 19.00 — „საერთაშორისო ბანორამა (მ.), 19.45 — ხვალ ნავთობისა და გაზის მრეწველობის მუშაკთა საკავშირო დღეა (სტუდიაში — სსრ კავშირის ნავთობის მრეწველობის მინისტრი ნ. ბალეცევი), 20.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა. 20.30 — „ქართული ფილმი“ — საიუბილეო კინოჩვენება — მხატვრული ფილმი — „ქეთო და კოტე“, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 22.35 — საეტგრადო სიმღერის კონკურსი სოფოდნი. (გადმოცემა პოლონეთიდან).

მეორე პროგრამით: 15.30 — „ჩვენს დიად სამშობლოში“ — საგელვეზიო დოკუმენტური ფილმი „საყაროს შეხვნობა“ (ფ.), 15.55 — კონცერტი, 16.30 — ეკრანზეა კინოკომედია — ქართული მხატვრული ფილმი „ჭრიჭინა“.

სატურნირო ორბიტაზე

კლასიკური. ᲞᲘᲓᲐᲛᲑᲐ. სანდიეგოში (აშშ) მიმდინარე მსოფლიო ჩემპიონატში საბჭოთა ათლეტებმა უკვე ხუთი სპორზო ადგილი მოიპოვეს: ოქროს მედალი მიიღეს ნ. ბალბაშინმა (100 კგ), შ. სერიკოვმა (57 კგ) და გ. კორბანმა (82 კგ). ვერცხლის მედალი წილად ხვდათ ა. შუმაკოვს (48 კგ) და ა. ალიევს (68 კგ). დანარჩენ წონითს კატეგორიებში პრიზიორები ჯერ არ გამოვლენილან.

ᲙᲐᲚᲗᲑᲨᲘᲠᲗᲘ. ბრაზილიის ქალაქ სალვადორში დასასრულს მიუახლოვდა იუნიორთა მსოფლიო ჩემპიონატი. საბჭოთა ნაკრებმა მორიგი ტურის შეხვედრა იუგოსლავიის გუნდთან წაადო (81:88) და ახლა ბრაზილიელებთან ითამაშებს. გათამაშების ცხრილში 6-6 ქულით პირველ სამეულში არიან აშშ-ს, იუგოსლავიისა და არგენტინის გუნდები. საბჭოთა, ბრაზილიელ და იტალიელ სპორტსმენებს 5-5 ქულა აქვთ.

ᲤᲐᲠᲘᲙᲐᲝᲒᲐ. მელბურნში სსრ კავშირის რაბინოსტ ვაჟთა ნაკრებმა მსოფლიოს ჩემპიონის წოდება მოიპოვა.

ᲠᲐ ᲛᲝᲕᲘᲡᲛᲘᲠᲜᲝᲗ



25 აგვისტო

პირველი პროგრამით: — 09.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 10.05 — მულტიპლიკაციური ფილმები, 10.35 — თქვენთვის, მშობლების! (მ.), 11.05 — „ჩვენს დიად სამშობლოში“ — დოკუმენტური ფილმები „ცისფერი კალენდარი“ და „ჩრდილოეთის გიმანი“, 11.50 — მუსიკალური პროგრამა „დილის ფოსტა“ (მ.), 12.20 — ბავშვის საერთაშორისო წელი მხატვრული ფილმი „ჩემი კეთილი მამა“ (ფ.), 13.30 — საბავშვო მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „პაპარა მეეობრები“ (ფ.), 13.40 — „ჯანმრთელობა“ — სამეცნიერო პოპულარული პროგრამა (მ), 14.25 — თბილისი და თბილისელები“ — საგელვეზიო ჟურნალი (ფ.), 14.55 — მზის ღიმილით, 15.40 — მუსიკალური ფოსტა, (ფ.), 16.30 — ჩვენ ინტერნაციონალისტები ვართ (გამეორებით), 17.05 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 17.50 — საგანურულ-იუმორისტული ჟურნალი „ოქროპირი“ (ფ.), 18.50 — მულტიპლიკაციური ფილმები, 19.00 — „ჩვენი ლაშქარი“ — მასწავლებელი, 19.25 — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი, 19.55 — მეცხრე სტუდია (მ.), 21.00 — „მოამბე (ფ.), 21.30 — საერთაშორისო მაგნი ‘ფაალში ‘ ‘ ‘ — სსრკ-აშშ (ფ.), 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 22.35 — „შეხედეთ მზეს, ეს თვით სამშობლოსაა“ — საგელვეზიო მუსიკალური დადგმა (განმეორებით).

მეორე პროგრამით: 16.50 — „ჩვენს დიად სამშობლოში“ — დოკუმენტური ფილმი — „მთელი ჩემი ბიოგრაფია“, 17.30 — „გასართობი კინოპროგრამა, 18.30—ქართული მხატვრული ფილმი „დარიკო“.



25 აგვისტო

პირველი პროგრამით: 09.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 11.00 — ცეროდენას ეკრანი, 11.30 — კინოფიფა, 12.00 — „სუფრად ზღაპართან“ — საგელვეზიო მხატვრული ფილმი „მხიარული სიზმარი ანუ ნიკილი და ცრემლები“ (მ.), 13.20 — პირველი ზარი, 14.30 — მუსიკალური კინოკი (მ.), 15.25 — კინოსმოყვარულთათვის, 16.50 — „ჩვენს დიად სამშობლოში“ — საგელვეზიო დოკუმენტური ფილმი „არსებითი სახელი — სკოლა“ (ფ.), 17.10 — კინოსმეზაურთა კლუბი (მ.), 18.10 — ბავშვის საერთაშორისო წელთან დაკავშირებით „ოოცა იარიბებიან პლეხეგის ბავშვები“ (ინტერნაციონალური ცვლა არგენტინა), 19.00 — „საერთაშორისო ბანორამა (მ.), 19.45 — ხვალ ნავთობისა და გაზის მრეწველობის მუშაკთა საკავშირო დღეა (სტუდიაში — სსრ კავშირის ნავთობის მრეწველობის მინისტრი ნ. ბალეცევი), 20.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა. 20.30 — „ქართული ფილმი“ — საიუბილეო კინოჩვენება — მხატვრული ფილმი — „ქეთო და კოტე“, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 22.35 — საეტგრადო სიმღერის კონკურსი სოფოდნი. (გადმოცემა პოლონეთიდან).

მეორე პროგრამით: 15.30 — „ჩვენს დიად სამშობლოში“ — საგელვეზიო დოკუმენტური ფილმი „საყაროს შეხვნობა“ (ფ.), 15.55 — კონცერტი, 16.30 — ეკრანზეა კინოკომედია — ქართული მხატვრული ფილმი „ჭრიჭინა“.

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲘᲜᲝ — 60



ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲧᲕᲐᲠᲔᲚᲘ ᲛᲡᲐᲮᲘᲝᲑᲔᲑᲘ

ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ ქართველი კინომსახიობი დოდო აბაშიძე აქტიური შემოქმედებითი ძიებით ცხოვრობს კინოხელოვნებაში. მხატვრული ფილმები: „არ დაიდარდო“, „ცემბრილი პაპა“, „როცა აყვავდა ნუში“, „გიორგობისთვე“, „არაჩვეულებრივი გამოფენა“, „დიდი, მწვანე ველი“, „სინათლე ჩვენს ფანჯრებში“, „არ დაიჯერო, რომ აღარა ვარ“, „პირველი მერცხალი“; კიდევ მრავალი დიდი თუ მცირე როლი დასტურია იმისა, რომ მსახიობი ყოველთვის თავის სიმაღლეზე იყო და რეჟისორის ჩანაფიქრის არა უბრალო ინტერპრეტატორად, არამედ ამა თუ იმ როლის სრულუფლებიან ავტორად გვევლინებოდა.

ბოლო წლების ნამუშევრებმა დ. აბაშიძეს მართლაც დიდი წარმატებები მოუტანა. ამას გვიჩვენებს სხვადასხვა რანგის ფესტივალებზე ძიღებული არაერთი პრემია თუ ჯილდო.

სულ მალე მაყურებელი კვლავ იხილავს დ. აბაშიძეს ეკრანზე, ამჯერად — ახალ მხატვრულ კინოკომედია „ყვარყვარეში“. ამ ფილმზე წინასწარ არაფერს ვიტყვით, ერთი კია, რომ ცნობილი პიესის კინოსცენარის ავტორს ვეზო ჭეიშვილს და კინორეჟისორ დევი აბაშიძეს სრულუფლებიანი ავტორი დაემატა — ყვარყვარეს როლის შემსრულებელი დოდო აბაშიძე. მან დიდი გატაცებით დაამუშავა ყვარყვარეს მხატვრულ-აზროვნებრივი და პლასტიკური სახე.

დ. აბაშიძის აქტიორული პალიტრა, მის მიერ შექმნილ-ჩამოყალიბებული პერსონაჟთა ხილვები მრავალფეროვანი და მრავალფენოვანია. მისი გმირის სახეპორტრეტი ფერუბით განზოგადებული ხასიათია. მხატვრულ ფილმში „ციმბირელი პაპა“ ნესტორ კალანდარიშვილის მეამბოხე სული დრამატიული, მკვეთრი ფერებით შეავსო. ფილმში „არ დაიჯერო, რომ აღარა ვარ“ კახელი გლეხის ხასიათის ჩამოყალიბებისას უფრო რბილი პასტელის ტონალობა აირჩია, მიმიკაში, ეესტში, ინტონაციაში თუ პლასტიკაში გამოხატა პერსონაჟის შინაგანი ბუნება.

ცხოვრების ცოდნამ და გამოცდილებამ, მდიდარმა აქტიორულმა პრაქტიკამ, უტყუარმა ალღომ და ინტუიციამ სიბრძნე შემატეს მის ხელოვნებას.

მარადჟამ სახემოცინარი, გულღია კაცი, მხიარულებისათვის შემართული — ასეთია უმრავლესობის აზრით დ. აბაშიძის პორტრეტი. მაგრამ ბევრმა არც იცის, რომ იგი საოცრებამდე მგრძნობიარე, ბავშვურად ალალი და გულუბრყვილო კაცია, ზშირად უსიტყვო და გულჩათხრობილი.

იგი გულღია მოსაუბრეა.

— როგორია თქვენი როლზე მუშაობის პრინციპი? — ვეკითხები.

— ანტონ რუბინშტეინი ამტკიცებდა, როცა ერთ დღეს არ ვვარჯიშობ, მე ამას დაკვრისას ვგრძნობო, როცა ორ დღეს არ ვუკრავ, სპეციალისტები ამჩნევენო, როდესაც სამ დღეს არ ვვარჯიშობ — მსმენელი ამჩნევსო... თუ გსურს რაიმე მნიშვნელოვანს მიაღწიო, მხოლოდ ერთი საშუალება არსებობს: განუწყვეტელი, ყოველდღიური, მომქანცველი შრომა... მხოლოდ ყოველდღიური!

— საკავშირო კინემატოგრაფიულ რუკაზე თბილისი და კინოსტუდია „ქართული ფილმი“ დიდი ხანია ფართოდ, მასშტაბურად არის წარმოდგენილი. ამდენად, საქართველო უკვე ცნობილი კინემატოგრაფიული რეგიონია...

— ქართულ კინოში მოდის ახალგაზრდა კინორეჟისორთა და მსახიობთა ნაკადი, ახლახან კინოსტუდია „ქართულ ფილმში“ ჩამოყალიბდა თეატრალური სახელოსნო, ეს ნიშნავს, რომ ტრადიცია გრძელდება, მიმდინარეობს ბუნებრივი, აუცილებელი, მზრუნველი ხელით წარმართული პროცესი კინეტატოგრაფიული ორგანიზმის განახლებისა. ახალგაზრდები მოწადინებით ეწაფებიან, ითვისებენ უფროსთა მეძკვიდრეობას, გამოცდილებას, განაგრძობენ ქართული კინოს გენერალური ტენდენციის განვითარებას.

ქართული მხატვრული კინოხელოვნება ცდილობს მოერიდოს აბსტრაქტულ აზროვნებას. დიდაქტიკურ ინტონაციებს. მისი დომინანტი ადამიანის სულის და ზნეობის რაინდობის კვლევაა...

დ. აბაშიძის მიერ შექმნილ სახეებში გამოკრთის მისი დაუცხრომელი ბუნება, მგზებარებით აღსავსე ახალგაზრდული სული, რომელიც ხშირად უკმარობის და დაუკმაყოფილებლობის გრძნობით არის აღსავსე. არა, ასეთი კაცი, არასოდეს დაბერდება არც ყოფაში და არც ხელოვნებაში.

Ა. ᲒᲕᲔᲚᲔᲡᲘᲐᲜᲘ.

სურათებზე: დოდო აბაშიძე კინოფილმებში. ზემოთ, მარცხნივ სეთური („დათა თუთაშხია“), ყვარყვარე; ქვემოთ — იასონი („პირველი მერცხალი“).



ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲔ ᲔᲙᲠᲐᲜᲖᲔ

ᲗᲐᲡᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲑᲠᲫᲝᲚᲐ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲐ

Ს. ᲨᲐᲚᲘᲑᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ Ი. ᲔᲚᲑᲐᲥᲘᲫᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ, ლენინური კომკავშირის სახელობის ცენტრალური წყალჯიმარდობის კომპლექსში დამთავრდა სსრ კავშირის თასების გათამაშება წყალტომაში. ასპარეზობის ბოლო დღეს გაგვახარეს განთიადლმა წყალმხტომელებმა **სერგი შალიბაშვილმა** და **იოსებ ელბაქიძემ.** კოშკიდან ხტომაში შალიბაშვილი სსრ კავშირის თასის მფლობელი გახდა. აღსანიშნავია, რომ მან ეს ჯილდო მეორედ მოიპოვა. ელბაქიძემ მეორე საპრიზო ადგილი დაიკავა. შალიბაშვილმა შეკიბრებაში 518,07 ქულა დააგროვა, ელბაქიძემ კი 477,75.

ქალთა შორის ტრამპლინიდან ხტომაში თასი მოიპოვა მინსკელმა **ირინე სიდოროვამ** — 425,24 ქულა.

დღეს ცენტრალური წყალჯიმარდობის კომპლექსი სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების წყალმხტომელთა ტრადიციული მატჩის მონაწილეებს უმასპინძლდა.



სურათზე: ს. შალიბაშვილი.

15 ᲬᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ

ᲮᲐᲠᲐᲯᲝᲕᲨᲘ დამთავრდა მოზარდ ჩოგბურთელთა ნაკრები გუნდების საკავშირო ჩემპიონატი. გუნდური პირველობის ფინალური მატჩის ბედი უნდა გადაეწყვიტა საქართველოსა და მოსკოვის შერეულ წყვილთა შეხვედრას. საქართველოს წარმომადგენლებმა ჯ. პეტროსიანმა და რ. გეგოიანმა მოსკოველებს ა. სალნიკოვს და ი. კისლიაკოვს იოლად სძლიეს (6:2, 6:3) და 15 წლის შესვენების შემდეგ საქართველოს ნაკრებმა სსრ კავშირის ჩემპიონობა მოიპოვა. საქართველოსა და მოსკოვის ნაკრები გუნდების შეხვედრის საბოლოო ანგარიშია 6:5. საქართველოს ნაკრების წარმატებაში დიდი წვლილი შეეტანეს მწვრთნელებმა ა. არუნოვმა, გ. მოსაელიანმა და ბავშვთა და მოზარდთა სპორტ სკოლის დირექტორმა, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა თ. ჯაკულიამ.

ᲣᲕᲐᲜᲕᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲡᲯᲐᲕᲠᲝᲖᲔ

ᲛᲣᲚᲢᲘᲙᲚᲘᲙᲐᲪᲘᲣᲠᲘ ᲤᲘᲚᲛᲔᲑᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲘ ᲤᲔᲡᲢᲘᲕᲐᲚᲘ ᲗᲘᲗᲠᲯᲝᲚᲐᲨᲘ

ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕᲘ ხელმძღვანელობის თაოსნობით თერჯოლის რაიონში უკვე ტრადიციად იქცა რესპუბლიკური კინოფესტივალების ჩატარება. ჩვენმა მკითხველებმა იციან, რომ შარშან აქ სოფლის თემაზე შექმნილი ქართული მხატვრული ფილმების ფესტივალი მოეწყო, ხოლო ახლახან დამთავრდა მულტიპლიკაციური კინოს ფესტივალი, რომელიც სამ დღეს გრძელდებოდა ბავშვის საერთაშორისო წელს მიეძღვნა.

კინოფესტივალზე ქართველმა კინ